Hordeum sativum jessen. ფოთლებზე. თიანეთის რ-ნი სოფ. ბალიანები ქერის ყანა 16/VIII—61.

შენიშვნა: გვხვდება *Septoria hordei*-თან ერთად და შესაძლებელია წარმოადგენდეს ამ სახეობის კონიდიალურ სტადიას.

5. *Physalospora rosicola* Sacc.

პერიტეციუმები სქელკედლიანია, შავი ფერის 282,2—381,8 μ დიამეტრით. ჩანთები გურზისებურია, მარტივი პარაფიზეზით 72,6—92,4 \times 13,2—19,8 μ (ლიტ-ით 40—45 \times 16—20 μ) სპორები ელიფსურია, უფერული, შუაში მოზრდილი ცხიმის წვეთით 13,2—19,8 \times 8,2—9,9 μ (ლიტ-ით 10—12 \times 6—8 μ).

Rosa sp. ღეროზე. თიანეთის რ-ნი. ს. საჭურვე წიფლნარ-რცხილნარი 3.VI—63.

შენიშვნა: ლიტერატურაში ცხიმის წვეთების არსებობა არაა მითითებული.

6. *Phyllosticta caballeoroi* Gonz.

სხვადასხვა ფორმის ყავისფერ ლაქებზე გაბნეულია 69,3—102,3 μ დიამეტრის პიკნიდიუმები (ლიტ-ით 90 μ) სპორები ცილინდრულია, უფერული, 3,3—4 \times 1—1,6 μ (ლიტ-ით 3—3,5 \times 0,7—1 μ).

Tussilago farfara L. ფოთლებზე. თიანეთის რ-ნი. სიონი წიფლნარ-რცხილნარი ტყის პირას 12.X—62.

7. *Phyllosticta celtidicola* Bub et Kab.

მოყავისფრო ლაქებზე გაფანტულია 112,2—184,8 μ დიამეტრის პიკნიდიუმები (ლიტ-ით 80—120 μ) სპორები ელიფსურია ან ცილინდრული, უფერული 4,9—9,9 \times 3—3,3 μ (ლიტ-ით 6—8 \times 3—4,5 μ).

— *Celtis caucasica* Willd. ფოთლებზე. ლეკის წყლის ხეობა 20.XI—63. (არის ორუჯრედნიანი სპორებიც).

8. *Phyllosticta cynanchi* Brun.

მონაცრისფერო ლაქებზე გაბნეულია 105,6—135,3 μ დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები ელიფსურია, უფერული 6—9,9 \times 3,3—4 μ (ლიტ-ით 7—8 \times 3 μ).

— *Cynanchum acutum* L. ფოთლებზე. შირაქი. იმედას წყაროსთან
20.IX—63.

9. *Phyllosticta Diederikii* Rub. et Syd.

ლაქებზე განვითარებულია 89,1—135,3 μ დიამეტრის პიკნიდიუმები (ლიტ-ით 75—150 μ). სპორები უფერულია, ოვალური 4,9—8,2 \times 3,3—4 μ (ლიტ-ით 5—9,5 \times 2,5—3,5 μ).

— *Fraxinus excelsior* L. ფოთლებზე. თიანეთი. ყარაღანთ ტყე. წიფლნარ-მუხნარი 6.X—62.

10. *Phyllosticta elaeagni* Sacc.

მოყავისფრო ლაქები დაფარულია წენგოსფერი 125,4—161,7 μ დიამეტრის პიკნიდიუმებით. (ლიტ-ით 120 μ დიამეტრი) სპორები ელიფსურია, უფერული 6—8,2 \times 3,3—9,9 μ (ლიტ-ით 8—11 \times 3 μ).

— *Elaeagnus angustifolia* L. ფოთლებზე. შირაქი. პანტიშარის ხეობა 19.IX—63.

11. *Phyllosticta fraxini* Ell.

ნაცრისფერ ლაქებზე გაფანტულია 95,7—128,7 μ დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები ელიფსურია, უფერული 6,6—11,5 \times 3,3—4,9 μ (ლიტ-ით 7—9 \times 2,5—3 μ).

— *Traxinus excelsior* L. ფოთლებზე. თიანეთი. გვერდის გზა 17.VIII—61.

12. *Phyllosticta jahniana* Petr.

ყავისფერი ლაქები დაფარულია 72,6—102,3 μ დიამეტრის პიკნიდიუმებით (ლიტ-ით 80 μ). სპორები ცილინდრულია, უფერული 3,3—6 \times 1—1,6 μ (ლიტ-ით 2—3 \times 1 μ).

— *Rhamnus cathartica* L. ფოთლებზე. თიანეთი. ყარაღანთ ტყე, წიფლნარ-მუხნარი 6/X—62.

13. *Phoma asteromella* Died.

პიკნიდიუმები 95,7—128,7 μ დიამეტრია (ლიტ-ით 150—180 μ). სპორები წვრილია, ცილინდრული, უფერული 3,3—4,9 \times 1—1,6 μ (ლიტ-ით 3,5 \times 1—1,2 μ).

Allium rotundum L. ღეროზე. შირაქი. პანტიშარის ხეობა, 19/IX—63.

14. *Phoma capparidis* Pers.

ღეროზე გაბნეულია 145,2—174,9 μ დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები ცილინდრულია, უფერული 3,3—4 μ XI—1,6 μ (ლიტ-ით 5 μ XI,25 μ).

— *Capparis spinosa* L. ღეროზე. შირაქი. პანტიშარის ხეობა. 19/XI—63.

15. *Phoma crataegi* Sacc.

ტოტებზე განვითარებულია 79,2—122,1 μ დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები წვრილია, უფერული, ოვალური 3,3—4 \times 1,6 μ (ლიტ-ით სპორები 4 \times 1,5 μ).

Crataegus sp. ტოტებზე. თიანეთის რ-ნი. სოფ. ბალიანები, ხატის ველები წიფლნარ-რცხილნარი ტყის ნაპირას. 2/X—62.

16. *Phoma crataegicola* Berl.



პიკნიდიუმები 69,3—115,5 დიამეტრით (ლიტ-ით 70—100 μ). სპორები ცილინდრულია, მომწვანო ფერის, მარცვლოვანი შიგთავსით. 6,6—9,9 \times 3—3,3 μ (ლიტ-ით 6—8 \times 2,5 μ).

Crataegus sp. ტოტებზე თიანეთის რ-ნი. ს. ჭურჭელაურები წიფლნარ-რცხილნარი 29/V—63.

17. *Phoma niesslii* Sacc.

გამხმარ ღეროზე განვითარებულია 52,8—85,8 μ დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები ელიფსურია, ან მოგრძო-ცილინდრული, უფერული, ორი ცხიმის წვეთით 4,9—9,9 \times 3,3 μ (ლიტ-ით 6 \times 3 μ).

Gentiana sp. ღეროზე. თიანეთის რ-ნი სოფ. საჭურე წიფლნარ-მუხნარი ტყის ნაპირას 23/VIII—61.

18. *Phoma polygonati* Thüm.

პიკნიდიუმები ელიფსურია 92,4—105,6 \times 69,3—79,2 μ ზომის. სპორებიც ელიფსურია, უფერული 4,9—6,6 \times 3,3 μ (ლიტ-ით 4—6 \times 2—2,5 μ).

— *Polygonatum glaberrimum* C. Koch. ღეროზე. თიანეთის რ-ნი. სოფ. ბაღიანები. ვაკე-გორის ტყე. წიფლნარ-რცხილნარი. 2/VIII—61.

19. *Phoma virginiana* Ell. et Halts.

ტოტებზე განვითარებულია 49,5—92,4 μ დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები მოგრძო-ცილინდრულია, უფერული 3,3—6 \times 1—1,6 μ (ლიტ-ით 5,7 \times 1,5 μ).

Prunus spinosa L. ტოტებზე. თიანეთი. ბაჩალი 17/VIII—61.

შენიშვნა: ლიტერატურაში აღნიშნულია *Prunus virginiana*-ს ფოთლებზე.

20. *Phoma vixconspicua* Lamb. et Tautr.

პიკნიდიუმები 82,5—128,7 μ დიამეტრით. სპორები მომწვანო ფერისა, ელიფსური 4,9—8,2 \times 3—3,3 μ (ლიტ-ით 6—8 \times 3—4 μ).

— *Evonymus europaea* L. ტოტებზე. თიანეთის რ-ნი. სოფ. თეთრა ხევა, წიფლნარ-რცხილნარი ტყის ნაპირას 1/X—62.

21. *Sphaeropsis ambigua* Mont.

პიკნიდიუმები ელიფსურია, ყავისფერი 138—201,3 \times 95,7—145,2 μ სპორები ელიფსურია, მოყავისფრო, შუაში ცხიმის წვეთით 13,2—19,8 \times 4,9—6,6 μ (ლიტ-ით 15 \times 5 μ).

— *Zea mays* L. ფოთლებზე. თიანეთი. სიმინდის ნათესებში 21.VIII.61.

შენიშვნა: ლიტერატურაში ცხიმის წვეთის არსებობა აღნიშნული არ არის.

22. *Sphaeropsis lantanae* P. Brun.

ტოტებზე განვითარებულია 145,2—184,8 μ დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები ელიფსურია, მოყავისფრო, უტიხრო, სქელი გარსით და დიდი ცხიმის წვეთით 8,2—13,2 \times 6,6—8,2 μ (ლიტ-ით 15—17 \times 10).

Viburnum opulus L. ტოტებზე. თიანეთის რ-ნი. სოფ. საჭურე. წიფლნარ-რცხილნარი. 8.X.62.

შენიშვნა: ლიტერატურაში აღნიშნულია *Viburnum lantanae*-ზე.

23. *Ascochyta capparidis* (Cast.) Sacc.

ღეროზე ეპიდემიის ქვეშ განვითარებულია $93-171 \times 93-105 \mu$ დიამეტრის მრგვალი ან ელიფსური პიკნიდიუმები (ლიტ-ით 150). სპორები უფერულია, ელიფსური $7,5-12 \times 4-6 \mu$ (ლიტ-ით $6-8 \times 3 \mu$).

Capparis spinosa L. ღეროზე. შირაქი. პანტიშარის ხეობა 19.IX-63.

24. *Ascochyta evonymi* Oud.

ფოთლებზე განვითარებულია $197,6-247,5 \mu$ დიამეტრის პიკნიდიუმები (ლიტ-ით $300-500 \mu$). სპორები თითისტარისებურია, წინგოსფერი $6,6-16,5 \times 2-3,3 \mu$ (ლიტ-ით $11-16 \times 2-3 \mu$).

— *Evonymus europaeae* L. ფოთლებზე. თიანეთი. სოფ. თეთრა ხევა წიფლნარ-რცხილნარი ტყის ნაპირას 1.X.62.

25. *Ascochyta ferrarisiana* Gasal.

მოყავისფრო ლაქებზე გაბნეულია $115,5-171,6 \mu$ დიამეტრის პიკნიდიუმები (ლიტ-ით 150μ). სპორები უფერულია, ელიფსური ან ცილინდრული $9,9-14,8 \times 4,9-6,6 \mu$ (ლიტ-ით $14-16 \times 5,5 \mu$).

Atryplex sp. ფოთლებზე. შირაქი. პანტიშარის ხეობა 19.IX.63.

შენიშვნა: ლიტერატურაში აღნიშნულია *Chenopodium album*-ის ფოთლებზე. ახალი მკვებავი მცენარეა.

26. *Ascochyta fraxini* Rub. et Kab.

ლაქებზე განვითარებულია $155,1-234,3 \mu$ დიამეტრის პიკნიდიუმები (ლიტ-ით $150-250 \mu$). სპორები უფერულია, ცილინდრული, ცხიმის წვეთებით და კარგად გამოხატული საწელურით, $6,6-11,5 \times 3,3-4,9 \mu$. (ლიტ-ით $9-13 \times 4-5 \mu$).

Fraxinus excelsior L. ფოთლებზე. თიანეთი. ყარალანთ ტყე. წიფლნარ-მუხნარი 6.X-62.

27. *Hendersonia sarmentorum* West. var. *sambuci*.

ტოტებზე ეპიდემიის ქვეშ განვითარებულია $290,4-481,4 \mu$ დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები ცილინდრულია, ღია ყავისფერი, სწორი ან ოდნავ მოხრილი, უმეტესად სამ ტიხრიანი. $9,9-16,5 \times 4,9-6,6 \mu$ (ლიტ-ით $12-14 \times 6 \mu$).

— *Sambucus nigra* L. ტოტებზე. თიანეთი. სოფ. საჭურესთან. მთა გუზუმბათისაკენ მიმავალ გზის ნაპირას. 8.X.62.

შენიშვნა: var. *sambuci* ახალია საქართველოს მიკოფლორისათვის.

28. *Cryptostictis caudata* (Preuss.) Sacc.

ასკილის ტოტებზე და ეკლებზე განვითარებულია $89,1-105,6 \mu$ დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები სამ ტიხრიანია, შუა ორი უჯრედი მოყავისფროა, ხოლო ბოლო უჯრედები უფერულია და აღჭურვილი არიან თითოეულ ბოლოზე თითო შოლტით $9,9-16,5 \times 3,3-6,6 \mu$.

— *Rosa* sp. ტოტებზე და ეკლებზე. თიანეთი. სოფ. ლიშო წიფლნარ-რცხილნარი ტყის ნაპირას 20.VIII.61.

შენიშვნა: ლიტერატურაში ზომები არ არის მოცემული.

29. *Camarosporium evonymi* Bres.



პიკნიდიუმები მუქი ყავისფერია 326,7—531,2 μ დიამეტრით, ყავისფერია, ელიფსური 3 განივი და 1 გასწვრივი ტიხარით 13,2—23,1 \times 9,9—11,5 μ (ლიტ-ით 18—20 \times 10 μ).

Evonymus europaeae L. ტოტებზე. თიანეთი. სოფ. თეთრახევა წიფლნარ-მუხნარი ტყის ნაპირას. 1.X—62.

30. *Camarosporium vetustum* Ell. et Ev.

ტოტებზე უხვად გაფანტულია შავი ფერის 187,8—294,7 μ დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები მუქი ყავისფერია, ცილინდრული, ელიფსური ან მომრგვალო, სამი განივი და 1—2 სიგრძივი ტიხარით 13,2—18,1 \times 9,9—13,2 μ (ლიტ-ით 12—20 \times 8—12 μ).

— *Artemisia meyeriana* Grossh. ტოტებზე. ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი 23.V—63.

შენიშვნა: ლიტერატურაში აღნიშნულია *Artemisia borealis*-ზე.

31. *Septoria bupleuricola* Sacc.

ფოთოლზე განვითარებულია მოყავისფრო ლაქები, რომლებიც დაფარული არიან 62,7—95,7 μ დიამეტრის პიკნიდიუმებით. სპორები ძაფისებურია, უფერული 26,4—46,2 \times 1,6—2 μ . (ლიტ-ით 24—30 \times 2 μ).

— *Bupleurum rotundifolium* L. ფოთლებზე. თიანეთი. სიმინდის ნათესებში 21.VIII.61.

32. *Septoria centranthicola* Brun.

ნაცრისფერ ლაქებზე გაფანტულია 49,5—79,2 დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები ძაფისებურია, სწორი, უფერული, 16,5—39,6 \times 1,6 μ (ლიტ-ით 22—45 \times 1,5—2 μ).

— *Valeriana alliariaefolia* Vall. თიანეთი. ხაშირის მთაზე 19.VIII.61.

33. *Septoria farfarae* Pass.

დიდი ზომის ყავისფერ ლაქებზე გაბნეულია 85,8—122,1 μ დიამეტრის პიკნიდიუმები. სპორები თითისტარისებურია, ან მოგრძო-ცილინდრული, უფერული, სწორი ან მოხრილი 36,3—72,6 \times 1,6—3,3 μ (ლიტ-ით 55 \times 3 μ).

— *Tussilago farfara* L. ფოთლებზე თიანეთის რ-ნი. სოფ. ბალიანები 16.VIII.61.

34. *Septoria hordei* Jacz.

პიკნიდიუმები მოყავისფერია 145,2—191,4 μ დიამეტრის (ლიტ-ით 100—120 μ). სპორები მოგრძო-ცილინდრულია უტიხრო ან 1—3 ტიხარით, სწორი 33—56,1 \times 3,3—4 μ (ლიტ-ით 25—35 \times 3,3 μ).

— *Hordeum sativum* Jessen. ფოთლებზე. თიანეთის რ-ნი სოფ. ბალიანები ქერის ყანა 16.VII.61.

35. *Septoria ludoviciana* Ell.

ლაქებზე გაბნეულია 92,4—132,6 μ დიამეტრის პიკნიდიუმები (ლიტ-ით 75—80 μ). სპორები ცილინდრულია, მოყვითალო ფერის, ხასიათდებიან მარცვლოვანი შიგთავსით, უტიხრო ან 1—3 ტიხარით, მოხრილი ან სწორი 14,8—29,7 \times 3—3,3 μ (ლიტ-ით 15—25 \times 2 μ).

— *Lactuca saligna* L. ფოთლებზე. თიანეთის რ-ნი. სოფ. ბალიანები 16.VIII.61.

შენიშვნა: ლიტერატურაში აღნიშნულია *Lactuca ludowiciana*-ზე.

36. *Septoria napelli* Speng.

ლაქები არ ახასიათებს. პიკნიდიუმები წენგოსფერია, 168,3—191,4μ დიამეტრის (ლიტ-ით 120—130μ). სპორები ძაფისებრ-ცილინდრულია, უფერული, მარცვლოვანი შიგთავსით, ხშირად სამ ტიხრიანი 46,2—99×3,3—4μ (ლიტ-ით 50—100×2—4μ).

— *Aconitum nasutum* Fisch. ფოთლებზე. თიანეთის რ-ნი. ხაშარის მთა 19.VIII.61.

შენიშვნა: კავკასიაში აღნიშნულია თებერდის სახელმწიფო ნაკრძალისათვის.

37. *Septoria phleina* Baudys.

ყავისფერი, 79,2—112,2μ დიამეტრის პიკნიდიუმები მწკრივებადაა განვითარებული ლაქებზე (ლიტ-ით 70—100μ). სპორები ძაფისებურია, უფერული, სწორი, 24,7—36,3×1—1,6μ. (ლიტ-ით 24—39×1—1,6μ).

— *Phleum* sp. ფოთლებზე. თიანეთის რ-ნი, სოფ. ლიშო. მინდორში 20.VIII.61.

38. *Rhabdospora intybi* Gonz.

პიკნიდიუმები 135,3—178,2μ დიამეტრით (ლიტ-ით 180μ). სპორები ძაფისებურია, უმეტესად მოხრილი, უფერული, 23,1—36,3×1,6μ (ლიტ-ით 20—32×1.2—1,5μ).

— *Cichorium intybus* L. ღეროზე. თიანეთის რ-ნი. სოფ. ლიშოს მიდამოები 5.VI.63.

39. *Rhabdospora pachyderma* Rab.

პიკნიდიუმები მომრგვალო ან ელიფსური, ყავისფერი, 72,6—108,9×56,1—79,2μ (ლიტ-ით 100—130μ). სპორები ჩხირისებურია, უფერული, სწორი ან მოხრილი, 13,2—23,1×1,6μ (ლიტ-ით 15—25×1—1,7μ).

— *Plantago major* L. ღეროზე. თიანეთის რ-ნი. სოფ. ქვემო არტანი. მინდორში 20.VIII.61.

40. *Rhabdospora tragopogonis* Rich.

პიკნიდიუმები 64,8—86,4μ დიამეტრია. სპორები ძაფისებურია, უფერული, სწორი ან მოხრილი, 11,5—33×1—1,6μ (ლიტ-ით 18μ სიგრძის).

— *Tragopogon serotinus* Sosn. ღეროზე.

თიანეთის რ-ნი. სოფ. საჭურეს მიდამოები. 23.VIII—61.

41. *Discosia maculiformis* Syd.

მონაცრისფერო ლაქები დაფარულია 181,5—214,5μ დიამეტრის პიკნიდიუმებით (ლიტ-ით 100—175μ). სპორები უფერულია, ცილინდრული, სამი ტიხრით, ბოლოებზე თითო წამწამით. სპორები წამწამების გარეშე 13,2—19,8×3—3,3μ, წამწამებით 23,1—31,6×3—3,3μ წამწამები 6,6—9,9μ (ლიტ-ით 11—16×3μ, წამწამები 9μ სიგრძის).

— *Fagus orientalis* Lipsky. თიანეთი. ხაწირი. წიფლნარ-მუხნარი. 15.X—62 წ.

42. *Ramularia statices* E. Rost.



ყავისფერ ლაქებზე განვითარებული მოყავისფრო ფიფქი შედგება ცილინდრული, უფერული, ერთ ტიხრიანი 23,1—36,3×3—3,3μ (ლიტ-ით 30—38×3μ) ზომის კონიდიუმებისაგან.

— *Lymonium meyeri* (Boiss.) Ktze. ფოთლებზე. მდ. იორის ნაპირის სოფ. ქესებანთან. 21.IX—63.

43. *Cercospora capparidis* Sacc.

კონიდიუმები ცილინდრულია ან თითისტარისებური, უფერული, 3—6 ტიხრიანი, 33—99×4,9—6,6μ (ლიტ-ით 25—120×4,5—6μ).

— *Capparris spinosa* L. ფოთლებზე. შირაქი. პანტიშარის ხეობა 19.IX—63.

44. *Cercospora penicillata* Fuck.

ფოთლის ქვედა მხარეზე განვითარებულია წენგოსფერი ფიფქი. სპორები 3—5 ტიხრიანია. უფერული, 36,3—82,5×6,6—7μ (ლიტ-ით 40—60×5μ).

— *Viburnum opulus* L. ფოთლებზე. თიანეთის რ-ნი. ყარალანთ ტყე. წიფლნარ-მუხნარი 6.X.62.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ბოტანიკის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 20.6.1964)

БОТАНИКА

М. А. БАДРИДЗЕ

НЕИЗВЕСТНЫЕ ВИДЫ МИКОФЛОРЫ ГРУЗИИ

Резюме

В результате обработки собранного нами в 1961—1963 гг. в Иорской долине материала 44 вида, одна вариация и одна форма грибов оказались новыми для микофлоры Грузии. Из них на культурных и полезных растениях отмечено шесть видов.

დაწილებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ლ. ყ ა ნ ა ჯ ე ლ ი, ა. შ ი შ კ ი ნ ა, მ. მ ე ლ ი ა. თებერდის ნაკრძალის მიკოფლორის შესწავლის მასალები. საქართველოს მეცნიერებათა დაცვის ინსტ. შრომები, ტ. VI, 1949.
2. В. Н. Бондарцева-Монтеверде, В. Н. Васильевский, Б. Каракулин и др. Определитель паразитных грибов по питающим растениям флоры БССР. Паразиты злаков. Минск, 1938.
3. Н. И. Васильевский и Б. П. Каракулин. Паразитные несовершенные грибы, ч. I, гифомицеты, М.—Л., 1937; ч. II, меланкониальные, М.—Л., 1950.
4. Ю. Н. Воронов. Свод сведений о микофлоре Кавказа. Труды Тифл. Бот. сада, XIII, ч. I и II, 1915—1923.
5. Флора споровых растений Казахстана, III, мучнисторосные грибы, Алма-Ата, 1961.
6. А. А. Ячевский. Карманный определитель грибов, вып. II, мучнисторосные грибы. Л, 1921.
7. А. А. Ячевский. Определитель грибов, т. 1, совершенные грибы. Изд. II, С.-Петербург, 1913; т. II, несовершенные грибы. Петербург, 1917.
8. A. Allescher. Die Pilze Deutschland Oesterreichs und die Schweiz VI et VII, Abteilung Fungi imperfecti, Leipzig, 1901—1903.
9. G. Lindau. Fungi imperfecti, VIII, Leipzig, 1907.
10. Saccardo. Syll fungorum, vol. I, III, IV, IX, X, XI, XIV, XVIII, XXII, XXV, 1882—1931.

М. Г. ГУДЖАБИДЗЕ

НОВЫЙ ВИД *HETERONYCHIA KOBACHIDZEI* GUDJABIDZE,
SP. NOV. (DIPTERA, SARCOPHAGIDAE) ИЗ ГРУЗИИ

(Представлено членом-корреспондентом Академии Л. П. Каландадзе 14.12.1964)

Описываемый новый вид является шестым видом из подрода *Mediteranisca* Rohd., распространенного в Средиземноморской зоогеографической области. Наш вид наиболее близок к *Heteronychia fertoni* Vill., но отличается от него иным строением генитальных придатков.

Самец. Лоб, слабо выступающий вперед, равен 0,24 ширины головы; лобная полоска в 2,5 раза шире орбиты; лобных щетинок 8—9 пар, длинных и довольно крепких; внешние вертикальные щетинки отсутствуют, внутренние хорошо развиты; скуловые щетинки расположены в один ряд, нежные, волосовидные, посторбитальные щетинки в виде более или менее ясных трех рядов; задняя поверхность головы с густыми, тонкими, светлыми волосками; III членик усиков почти в 1,5 раза длиннее II; *ae* за *in*вом — 1 пара; *de* за *in*вом в числе трех правильно расположенных пар; жилка r_1 с щетинками; ктенидий плохо выражен.



Рис. 1. Церки и 9-й коксит

Щиток с крепкими, длинными базальными и субапикальными щетинками, апикальные щетинки сравнительно короткие, но крепкие; латеральные отсутствуют, дорсальные крепкие, расположенные вблизи субапикальных; III тергит брюшка без средних краевых щетинок, редко с одной щетинкой (у голотипа), генитальный тергит черный со светлым налетом и рядом крепких щетинок по заднему краю, анальный тергит коричневатый; церки в профиль с вырезом, конец церок тупой, кокситы треугольные (рис. 1).

Апикальная часть парафалла (рис. 2) длинная, прозрачная, щетинистая, слегка загнута вперед, с двумя слабо склеротизированными боковыми отростками; стилеты длинные, сильно изогнутые, умеренно выдающиеся, базальная часть парафалла массивная, с хорошо развитыми вентральными отростками, с двумя зубчиками на конце, передние парамеры слабо загнутые, на конце тупые, покрытые немногими щетинками по заднему краю верхней половины, задние парамеры прямые, на конце загнутые в виде крючка, в середине с длинной щетинкой; тека тонкая, короче фаллосомы, мало расширенная на конце, гораздо длиннее своей высоты.



Рис. 2. Фаллосома и парамеры

Общая окраска тела темная, продольные полосы спинки груди коричневатые; брюшко с темными пятнами, образующими обычного типа шашечный рисунок, антенны и щупальца черные, орбиты и скулы серебристо-серые. Длина тела 7—9 мм.

♀ неизвестна

Описывается по 2 ♂♂, найденным экспедицией Института зоологии АН Грузинской ССР из высокогорья Большого Кавказа, Гуршеви (Верхняя Рача, 2050 м н. у. м) 12.IX.1956 г. и Кетриси (Мтиулет, 2100 м н. у. м.) 4.VIII.1955 г.

Вид назван именем проф. Д. Н. Кобахидзе.

Правильность выделения и описания нового вида подтверждена проф. Б. Б. Родендорфом, за что приношу ему благодарность.

Тип нового вида *Heteronychia kobachidzei* Gudjabidze, sp. nov. хранится в коллекциях Института зоологии АН ГССР.

Академия наук Грузинской ССР
 Институт зоологии

მ. გუჯაბიძე

სარკოფაგიდების ახალი სახეობა *HETERONYCHIA KOBACHIDZEI* GUDJABIDZE, SP. NOV. (DIPTERA, SARCOPHAGIDAE)

საქართველოდან

რ ე ხ ი უ მ ე

სტატიაში მოცემულია საქართველოს მაღალმთიან ადგილებში (კეტრისი-დურშევი) მოპოვებული ქვეოჯახ *Sarcophaginae*-ში შემავალ ქვეგვარ *Mediterranisca*-დან ახალი სახეობის *Heteronychia kobachidzei* Gudjabidze, sp. nov. მორფოლოგიური აღწერა და გენიტალური აპარატის ჩანახატები.

დამოწმებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Б. Б. Родендорф. Сем. *Sarcophagidae* фауна СССР. Насекомые двукрылые, т. XIX, вып. I, 1937.

ბ. კაკულია, ც. დვდარიანი

ნემატოდის ახალი სახეობა *BURSAPHELENCHUS TERATOSPICULARIS* KAKULIA ET DEVDARIANI, SP. NOV. (NEMATODA: APHELENCHOIDEA)

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლ. კალანდაძემ 3.10.1964)

1962—64 წლებში ბორჯომ-ბაკურიანის ხეობაში ძირნაყარას ქერქიჭამიას (*Orthotomicus proximus* Eichl.) სასველეებიდან აღებული ხოჭოს ნაფხვენის გამოკვლევისას შემჩნეულ იქნა ჩვენ მიერ ნემატოდების სქესმწიფე ფორმები და ლარვები (♀♀—9, ♂♂—5, ლარვა—11).

ღრობითი პრეპარატის დამზადების შემდეგ ნემატოდების მიკროსკოპიულმა შესწავლამ დაგვანახა, რომ ისინი ეკუთვნოდნენ გვარ *Bursaphelenchus* Fuchs, 1937-ს და წარმოადგენდნენ ახალ სახეობას, რომელსაც ქვემოთ აღწერთ.

ამავე სახეობის ნემატოდები შემჩნეულ იქნა ფიჭვის პატარა ლაფანჭამიის (*Blastophagus minor* Hart.) ნაფხვენებშიც (მხოლოდ სქესმწიფე ფორმები—♀♀—5, ♂♂—2).

Bursaphelenchus teratospicularis Kakulia et Devdariani, sp. nov.

14. ♀♀ L=580—675 მიკრ.

a=29,0—33,8; b=9,35—10,78; c=21,93—23,20; v%=75,5—79,5.

5♂♂ L=450—490 მიკრ.

a=27,2—30,0; b=6,46—6,71; c=23,3—32,1.

ჰოლოტიპი: ♂♂ L=480 მიკრ. a=28,23; b=6,57; c=28,23.

ალოტიპი: ♀♀ L=635 მიკრ. a=30,2; b=9,47; c=22,67; v%=77,16.

რაოდენობრივი შეფარდება დედლისა მამალთან—3:1.

თავის 6 ბორცვი თანაბარი სიმაღლისა, სხეულისაგან შესამჩნევადაა გამოყოფილი. სხეული დაფარულია თხელი, ერთ მიკრონამდგ სისქის რგოლოვანი კუტიკულით. კუტიკულის რგოლების სიგანე უდრის 1,4—1,6 მიკრონს. სტილეტი გრძელია, სიგრძით 18—22 მიკრონი. სტილეტის ბაზალური შემსხვილება ასიმეტრიულია. ვიწრო სანათური ჩანს სტილეტის ორ მესამედზე.

საყლაპავის პრეკორპუსი ცილინდრული ფორმისაა და შევიწროებით უერთდება ფიბრილარულ ბულბუსს. საყლაპავის სანათური ვიწროა და სუსტადაა კუტიკულიზირებული. ფიბრილარული ბულბუსი (ზომით 16×10 მიკრონი) ოვალური ფორმისაა. „საღეჭი ფირფიტები“ ფიბრილარული ბულბუსისა უკანა ნახევარშია მოთავსებული. ნერვული რგოლი სუსტადაა გამოხატული და ფიბრილარული ბულბუსის ქვემოთაა მოთავსებული. ექსკრეტორული ხერხეული დაფიქსირებულ მასალაზე არ ჩანს. შუა და უკანა ნაწლავი კარგად გა-



მოიჩვენა სხვა ქსოვილებისაგან. უკანა ნაწლავი მუდამ გამოვსებულა გრანულებით.

დედალი. გონადა კენტია. მისი სიგრძე 310—350 მიკრონს აღწევს. მანძილი გონადის წინა ბოლოსა და ფიბრილარულ ბულბუსს შორის 110-დან 125 მიკრონს უდრის. გონადის მაქსიმალური სიგანე უდრის 20 მიკრონს. კვერცხი საშვილოსნოში მხოლოდ ერთია (65×20 მიკრ.) პოსტეულვალური ჩანთა ვიწროა და მოკლე, სიგრძით 15—17 მიკრ. ვულვის ტუჩები ოდნავ გამოწეულია. საშო ირიბად უერთდება საშვილოსნოს. იგი ძლიერადაა კუტიკულიზირებული. მისი სიგრძე 8-დან 10 მიკრონამდე მერყეობს. კუდი ბლაგვი სოლისებურია. მისი სიგრძე 25—32 მიკრონია.

მამალი. გონადა კენტია. დაფიქსირებულ მასალაში ძნელად გამოსაყოფია სხვა ქსოვილებისაგან. სპიკულა წყვილია (სიგრძით 15—18 მიკრონი) და არაა შეზრდილი. მისი დისტალური ბოლო დეფორმირებულია. სპიკულას თავი არ აქვს გამოყოფილი. სპიკულაზე ვენტრალური გამონაზარდი მოკლე და ბლაგვია.

ნემატოდის კუდის ბოლოზე შეიმჩნევა ოვალური ბურსა. სუბვენტალურად კუდზე განლაგებულია ორი წყვილი პაპილა: ერთი წყვილი პრეანალურად, ხოლო მეორე — პოსტანალურად.

კუდზე მხოლოდ ერთი წყვილი ჯირკვლოვანი პაპილა შეიმჩნევა.

ლარვა. თავის ბორცვები სუსტადაა გამოყოფილი სხეულისაგან და ერთმანეთისაგან. ანალური ხვრელი კარგად ჩანს. სქესმწიფე ფორმისთან შედარებით, ლარვას გრძელი და წვეტიანი კუდი აქვს.

დიფერენციალური დიაგნოზი

ჩვენ მიერ აღწერილი სახეობა თავისი მორფოლოგიურ-ანატომიური ნიშნებით ახლო დგას სახეობა *Bursaphelenchus piniperdae* (Fuchs, 1937 წ.). Rühm-თან, მაგრამ განსხვავდება მისგან შემდეგი ნიშნებით:

1. *Bursaphelenchus teratospicularis*, n. sp.-ს ფიბრილარული ბულბუსი ოვალური ფორმისაა, ხოლო *B. piniperdae*-ს ბულბუსი მრგვალია;

2. *B. piniperdae*-ს დედლებში კუდი ბლაგვი წაკვეთილია, კუდის ტერმინუსი არ არის გამოყოფილი; ჩვენ მიერ აღწერილი სახეობის კუდი ბლაგვი სოლისებურია; მამლებში კი პირიქით, *B. teratospicularis*, n. sp.-ს ბლაგვი მოღუნული კუდი აქვს, ხოლო *Bursaphelenchus piniperdae*-ს კუდი მახვილი წვეტით მთავრდება;

3. *B. piniperdae*-ს დედლებში საშვილოსნოს პოსტეულვალური ჩანთა ვულვისა და ანალურ ხვრელს შორის მანძილის ნახევარზე გრძელია, ხოლო ჩვენ მიერ აღწერილი სახეობის დედლებში პოსტეულვალური ჩანთა აღნიშნული მანძილის ნახევარზე მოკლეა;

4. *B. piniperdae*-ს მამლებს კუდზე სამი წყვილი ჯირკვლოვანი პაპილა აქვს განლაგებული, ხოლო ჩვენ მიერ აღწერილ სახეობას ასეთი პაპილა მხოლოდ ერთი წყვილი აქვს;

5. *B. teratospicularis*-ს სპიკულა ფორმით დიდად განსხვავდება *B. piniperdae*-ს სპიკულისაგან. *B. teratospicularis*-ს სპიკულის დისტალური ნაწილი დეფორმირებულის შთაბეჭდილებას სტოვეებს: სპიკულის ვენტრალური გამო-
ნაზარდი მოკლე, ვიწრო და ბლაგვია, ხოლო *B. piniperdae*-ს სპიკულა ჩვეუ-
ლებრივი ფორმისაა, მისი ვენტრალური გამონაზარდი გრძელი, განიერი და
მახვილია. ჩვენ მიერ აღწერილი სახეობის სპიკულას თავი არა აქვს გამოყო-
ფილი, იგი შერწყმულია სპიკულის სხეულთან;

6. მნიშვნელოვნად განსხვავებულია დე მანის ინდექსებიც.

B. piniperdae

♂ a = 35,71 — 39,98

♂ b = 9,95 — 11,11


♀ c = 24,79 — 26,79

B. teratospicularis n. sp.

27,2 — 30,0

6,46 — 6,71

21,93 — 23,20



სურ. 1

ზემოთ დასახელებუ-
ლი განმასხვავებელი ნიშნები
უფლებას გვაძლევს აღწერი-
ლი ნემატოდა მივიჩნიოთ
ახალ სახეობად და მამლის
სპიკულის ფორმის შესაბა-
მისად ვუწოდოთ *Bursaphel-
lenchus teratospicularis*,
n. sp. ამ ნემატოდის სქესნიფე
ფორმები რეგისტრირებუ-
ლია აგრეთვე ფიჭვის პატარა
ლაფანჭამიას (*Blastophag-
us minor* Hart.) ნაფხვენ-
შიც. ანიტომ შესაძლებლად
მიგვაჩნია, რომ ეს ნემატოდა
ამ ხოჭოშიც ბინადრობდეს,
თუმცა ხოჭოს ელიტრების
ქვეშ *B. teratospicularis*,
n. sp. ღარები არ შეგვიჩნე-
ვია.

მასპინძელი ხოჭო-
ების დასახლება

1. ძირნაყარას ქერქიჭა-
შია (*Orthotomicus proximus*
Eichh.) შავ ფიჭვზე — *Pinus*
nigra Arn.

2. ფიჭვის პატარა ლაფანჭამია (*Blastophagus minor* Hart.) — აღმოსავლურ
ნაძებზე (*Picea orientalis* (L.) Link.



მოპოვების ადგილი. საქართველოს სსრ, ბორჯომი, სოფ. დაბა, 1962—1964 წწ. პრეპარატი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის პარაზიტოლოგიის განყოფილებაში — პრ. № 47 d—1962.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ზოოლოგიის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 3.10.1964)

ПАРАЗИТОЛОГИЯ

Г. А. КАКУЛИЯ, Ц. Г. ДЕВДАРИАНИ

НОВЫЙ ВИД НЕМАТОДЫ *BURSAPHELENCHUS TERATOSPICULARIS* KAKULIA ET DEVDARIANI, SP. NOV. (NEMATODA: APHELFNCHOIDEA)

Резюме

В 1962—1964 гг. в трухе маточных ходов валежничкового короода (*Orthotomicus proximus* Eichh.), а также малого соснового лубоеда (*Rlastophagus minor* Hart.) было обнаружено несколько экземпляров нематод из рода *Bursaphelenchus* Fuchs, 1937, которые описываются нами в качестве нового вида.

Bursaphelenchus teratospicularis Kakulia et Devdariani, sp. nov.

5 ♂♂ $L=450-490$ микронам; $a=27$, $7-30,0$; $b=6,46-6,76$; $c=23,3-32,7$.

14 ♀♀ $L=580-675$ микронам; $a=29,0-33,8$; $b=9,35-10,78$; $c=21$, $93=23,20$; $v\%=75,5-79,5$.

Голотип: ♂ $L=480$ микронам; $a=28,23$; $b=6,57$; $c=28,23$.

Аллотип: ♀ $L=635$ микронам; $a=30,2$; $b=9,47$; $c=22,67$; $v\%=77,16$.

Монормфные виды, соотношения самцов и самок 1:3, небольшие нематоды с тонкой кутикулой, ширина кутикулярных колец не превышает 1,4—1,6 микрона.

Головной участок заметно отделен. Стиллет длиной 18—22 микронов, его базальные утолщения ясно заметны, асимметричны, средний бульбус овальной формы, нервные кольца едва заметны, экскреторная пора на фиксированном материале не видна. Гонада самцов длинная, спикула длиной 15—18 микронов. Ее дистальный конец деформирован, головка не выделена, вентральный отросток короткий и тупой, бурса овальной формы, хвостовые папиллы в количестве двух пар расположены субвентрально (одна пара—преанально, вторая—постанально), железистых папилл на хвосте одна пара. Хвост самца остро конический. Гонада самок широкая, загнутая, в матке одно яйцо (67×20 микронов). Вульва расположена в задней части тела, влагалище косое, сильно кутикулированное, поствульварная сумка короткая (15—17 микронов). Хвост самки тупо конический.

Описываемый нами вид близок к *Bursaphelenchus pini-perdae* (Fuchs, 1937) Rühm, 1956, но отличается от него следующими признаками:

1. Хвост у самки *B. piniperdae* тупой, а у описанной нами формы конический, не тупой. У самцов же наоборот: у *B. piniperdae* хвост на конце заострен, а у наших форм тонко округлен.

2. Поствulварная сумка у *B. piniperdae* значительно длиннее, чем у описанного нами вида.

3. У самца *B. piniperdae* на хвосте три пары железистых папилл, а у описанного нами вида только одна пара.

4. Спикула описанного нами вида резко отличается от спикулы *B. piniperdae*.

5. Значительно отличается *B. teratospicularis*, n. sp. от *B. piniperdae* по индексам де Мана:

<i>B. piniperdae</i>	<i>B. teratospicularis</i> n. sp.
♂ a=35,71—39,98	27,2—30,0
♂ b=9,95—11,11	6,46—6,71
♀ c=24,79—26,79	21,93—23,20

Таким образом, на основании указанных различий описание нового вида мы считаем правомочным и в соответствии с формой спикулы называем этот вид *Bursaphelenchus teratospicularis* Kakulia et Devdariani, sp. nov.

Тип хранится в паразитологическом отделе Института зоологии АН Грузинской ССР (пр. № 47 d—1962).

საერთაშორისო ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. W. Rüh m. Die Nematoden der Ipiden Parasitol. Schriftenreihe, Iena, Heft 6, 1956.
2. H. Fuch s. Nematoden der Borkenkäfern und einige andere Nematoden, 1937.



ბ. კანაპა

საზოგადოებრივი მემინდვრიას გონაქების
ბანვითარება ადრეულ
ემბრიოგენეზში


(წარმოადგინა აკადემიის წევრ კორესპონდენტმა ლ. კალანდაძემ 1.6.1964)

გამოკვლეულ იქნა საზოგადოებრივი მემინდვრიას გონადების განვითარება მათი ჩასახვიდან სქესის ნიშნების გამოვლინებამდე.

მიკროტექნიკურად დამუშავებულია ამ ცხოველების სხვადასხვა სტადიის 70 ემბრიონი. მასალა დაფიქსირდა კარნუას ხსნარში. ანათომები შეიღება ჰემატოქსილინ-ეოზინით ერლხის წესის მიხედვით.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ სასქესო ნერგი წარმოიქმნება მემინდვრიას 3—3,5 მმ სიგრძის ემბრიონებში. ამ სტადიის ემბრიონებს


ემჩნევათ კიდურების ჩანასახი, თვალის გამობერილობა, საყნოსავი ბორცვები. მემინდვრიაში, ასე როგორც საერთოდ სხვა ძუძუმწოვარ ცხოველებში, სასქესო ნერგი ჩაისახება ვოლფის სხეულის მედულარულ ნაწილში ერთშრიანი მეზოთელის სახით, რომელიც გამოყოფილია ვოლფის სხეულიდან მეზენქიმის უჯრედებით. ემბრიონების ზრდა-განვითარებასთან ერთად სასქესო ნერგი მისი უჯრედების გამრავლების შედეგად მრავალშრიანი ხდება. სასქესო ნერგში



სურ. 1

ადვილად შეინიშნება პირველადი სასქესო უჯრედები. მეზოთელის უჯრედებთან შედარებით ისინი უფრო მოზრდილი და ნათელია, მათი რაოდენობა მიკროსკოპის მხედველობის არეში 2—4-ს უდრის.

4—5 მმ სიგრძის ემბრიონები წინა ნაყოფის პერიოდის საწყის სტადიაშია. მათ განვითარებული აქვთ საყნოსავი და სასმენი ხერელები. თვალის გამობერილობის ადგილას ჩანს პიგმენტური შრე. კიდურები წაგრძელებული აქვთ. ჩასახულია კიდურების სახსრები და თათები. ამ სტადიის ემბრიონების სასქესო ნერგი წარმოადგენს გამონაზარდს, რომელშიც შექრილია სისხლის კაპილარები. მეზენქიმის ის ნაწილი, რომელიც ვოლფის სხეულიდან გამოყოფს სასქესო ნერგს, ვიწროვდება ნერგის ზრდასთან ერთად. ზოგიერთ შემთხვევაში მისი უჯრედები შექრილია მეზოთელის უჯრედებს შორის და ჰქმნიან გონადის სტრომას. სასქესო ნერგში პირველადი სასქესო უჯრედები დაახლოებით ისეთივე რაოდენობით გვხვდება, როგორც წინა სტადიაში.



სურ. 2

6—7 მმ სიგრძის ემბრიონებში (წინა ნაყოფის პერიოდი) სასქესო ნერგი უკვე გამოყოფილია ვოლფის სხეულისაგან. იგი ფორმისა და განვითარების მიხედვით სხვადასხვა ემბრიონში სხვადასხვანაირია; ზოგიერთ ემბრიონში ოვალური ფორმისაა და მათში მამრობითი სქესის ნიშნებია გამოვლინებული. ეს პირველ რიგში გამოიხატება კლაკნული მილაკების ნასახების წარმოქმნაში.

სათესლის განვითარების ამ სტადიაზე პირველადი სასქესო უჯრედების რაოდენობა მათში, წინა სტადიასთან შედარებით, შემცირებულია; იშვიათად გვხვდება ერთი ან ორი უჯრედი. ახლადწარმოქმნილი სათესლე გარშემორტყმულია მეზენქიმის უჯრედებით, რომლებიც ვოლფის სხეულიდან მოედინებიან (სურ. 1). ზოგიერთი ემბრიონის გონადი წაგრძელებულია. იგი თუმცა გამოყოფილია ვოლფის სხეულისაგან, მაგრამ სტრუქტურულად წინა სტადიისაგან, არ განსხვავდება. მას არა აქვს არც სათესლისა და არც საკვერცხის დიფერენცირების პირველი ნიშნები და ინდიფერენტულ მდგომარეობაშია. პირველადი სასქესო უჯრედების რაოდენობა მათში თითქმის ისეთივეა, როგორც ადრეული სტადიის გონადში იყო (სურ. 2).

8—9 მმ სიგრძის ემბრიონები ნაყოფის პერიოდის საწყის სტადიაშია. მათ წაგრძელებული აქვთ სახე და კისერი. კარგად აქვთ განვითარებული კიდურების სახსრები და თათები. სხეულზე ადგილ-ადგილ შეიმჩნევა თმების ნასახი. ამ პერიოდიდან გონადებში ვლინდება საკვერცხის დამახასიათებელი ნიშნები; გონადების ცენტრალურ ნაწილში თავმოყრილია მეზენქიმის უჯრედები და სისხლის კაპილარები, რომლებიც ჰქმნიან საკვერცხის ტენიოვან ნაწილს. საკვერცხის განვითარების ამ სტადიაზე პრიმორდიალური ფოლიკულები ჯერ არაა განვითარებული. საკვერცხეში იშვიათად ვხვდებით პირველად სასქესო უჯრედებს. სათესლეში კლაკნილი მილაკები უკვე ჩამოყალიბებულია მკვერივი უსანათურო ბაგირაკების სახით. პირველადი სასქესო უჯრედები მათში არ შეგვინიშნავს.

ამგვარად, საზოგადოებრივი მემინდვრისა 8—9 მმ სიგრძის ემბრიონებში საკვერცხე და სათესლე დიფერენცირებულია და გარეგნულადაც ერთმანეთისაგან განსხვავდება.

გონადების განვითარების ადრეულ ეტაპზე პირველადი სასქესო უჯრედების გაქრობა აღწერილია ლიტერატურაში. მკვლევართა შეხედულებით აღნიშნული უჯრედები არ მონაწილეობენ ორგანიზმისა და სპერმატოგონიების წარმოქმნაში [1, 2]. ჩვენი მონაცემები მემინდვრისა მაგალითზე, ადასტურებს ამ შეხედულებას.

ჩვენმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ საზოგადოებრივ მემინდვრიაში საკვერცხისა და სათესლის სტრუქტურული ნიშნები ვლინდება ემბრიოგენეზის სხვადასხვა პერიოდში: სათესლის ნიშნები ვლინდება წინა ნაყოფის პერიოდის დასასრულს, საკვერცხისა კი—ნაყოფის პერიოდის დასაწყისში. ამგვარად, ისე როგორც მთელ რიგ სხვა ძუძუმწოვარ ცხოველებშია აღწერილი [1, 2, 3, 4, 5], მემინდვრიაში უფრო ადრე იწყებს დიფერენცირებას სათესლე, ვიდრე საკვერცხე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ზოოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 1.6.1964)

ЗООЛОГИЯ

В. Л. КАНКАВА

РАЗВИТИЕ ГОНАД ОБЩЕСТВЕННОЙ ПОЛЕВКИ В РАННЕМ ЭМБРИОГЕНЕЗЕ

Резюме

Гистологически изучено 70 эмбрионов общественной полевки в разных стадиях развития.

Показано, что зачатки у общественной полевки закладываются в зародышевом периоде (длина эмбрионов 3—3,5 мм). В конце предплод-

ного периода (длина эмбрионов 6–7 мм) появляются зачатки канальцев семенника, которые хорошо развиты в начале плодного периода. Структура яичников появляется в начале плодного периода (длина эмбрионов 8–9 мм).

Таким образом, в эмбриогенезе у общественной полевки, так же как у целого ряда млекопитающих, развитие семенников опережает развитие яичников.

დავითწმობული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. К. Г. Газарян. О морфологической дифференцировке половых желез в раннем эмбриогенезе каракульской овцы. ДАН СССР, т. 123, № 5, 1958.
2. Ш. Е. Чхартிшвили. К сравнительному эмбриогенезу яичников некоторых видов сельскохозяйственных животных. Тезисы докл. юбил. научн. конфер. Зоотехнического института ГССР, 1951.
3. Е. Ф. Поликарпова. Формирование яичников овец породы „советский меринос“ в утробный период. ДАН СССР, т. 109, № 4, 1956.
4. Б. П. Хватов. Строение и физиологические изменения половой системы самок домашних животных, 1955.
5. A. Lost. Recherches sur la differentiatio sexuelle de l'embryon de lapin. Arch. d'Anat. microsc. et morph. exp., 36, 1947.

ბ. ზუბაღალაშვილი

კუჭისა და მლივი ნაწლავის ტრანსკლანტატის ლორწოვანი გარსის
სტრუქტურული ცვლილებების საკითხისათვის გასტრომიქსმო-
კლასტიკის შემდგმ

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. ტატიშვილმა 23 4, 1964)

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების ქირურგიულ-მკურნალობის მეთოდების საკითხში საკმაოდ ხანგრძლივი პრინციპული კამათს შემდეგ საბოლოოდ გაიმარჯვეს კუჭის რეზექციის მომხრეებმა. კუჭის რეზექციამ, როგორც მკურნალობის შედეგებით რადიკალურმა წესმა, აღიარება პპოვა მთელი მსოფლიოს ქირურგთა შორის. განსაკუთრებით პოპულარული გახდა კუჭის რეზექციის ჰოფმაისტერ-ფინსტერერის მოდიფიკაცია.

დროთა ვითარებაში დაგროვდა აუარებელი კლინიკური მასალა რეზექციის შემდგომ უახლოეს და შორეულ შედეგებზე, რომლის მიხედვით რეზექციის შემდგომ ადამიანის ორგანიზმში არაიშვიათად თავს იჩენს სრულიად გარკვეული ავადმყოფობის სიმპტომოკომპლექსი, რომელიც საბჭოთა კავშირში ცნობილია „ოპერირებული კუჭის ავადმყოფობის“ და აგასტრელური ასთენიის სახელწოდებით [1], ხოლო უცხოეთში დემპინგსინდრომად და აღიარებული, თუ ამ ავადმყოფობის მდგომარეობის ანატომიური მხარე შესაძლებელია აცილებულ იქნეს ოპერაციული ტექნიკის სრულყოფით, სამაგიეროდ ფიზიოლოგიური ცვლილებების თავიდან აცილება ოპერაციის ტექნიკური სრულყოფით შეუძლებელია. ამიტომ, რომ თანამედროვე ქირურგიული აზროვნება მიმართულია იქითკენ, რომ ყოველგვარი ქირურგიული ჩარევა ფიზიოლოგიურად გამართლებული იყოს.

უკანასკნელ წლებში მოწოდებულია ახალი ოპერაციული მეთოდი კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი და სიმსივნური დაავადების მკურნალობაში ინტერპოლასტიკის სახით, რაც პრინციპში ბილროტ I კლასიკური წესის მოდიფიკაციად შეიძლება ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში ნაწლავის ინტერპოზიცია კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავის ტაკეებს შორის არამარტო აღადგენს საკვების პასაჟს თორმეტგოჯა ნაწლავში, არამედ აგრეთვე იგი ნაწილობრივ ასრულებს სარეზერვუარო ფუნქციასაც.

თუ ამ ტიპის ოპერაციის უპირატესობის ფიზიოლოგიური და კლინიკური მხარეები ფართო მსჯელობის საგნად გახდა თანამედროვე ლიტერატურაში, სამაგიეროდ გადანერგილი ნაწლავის მონაკვეთის პათომორფოლოგიურ შესწავლას ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ დათმობია. ლიტერატურაში საკმაო რაოდენობის შრომებია გამოქვეყნებული, რომელიც ეხება გასტროენტეროანასტომოზისა და კუჭის რეზექციის შემდეგ გამოწვეულ სტრუქტურულ ცვლილებებს ლორწოვან გარსში, როგორც კუჭის, ისე თორმეტგოჯა ნაწლავისა და მლივი



ნაწლავის მხრივ [2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9]. თვით ნაწლავის ტრანსპლანტატში მომხდარ სტრუქტურული გადაკეთების ირგვლივ კი ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ვერ ვნახეთ რაიმე ცნობა, გარდა ერთი შრომისა, რომელიც შესრულებულია ყირიმის სამედიცინო ინსტიტუტში 1957 წელს ა. ზახაროვის მიერ [4]. ა. ზახაროვმა აწარმოვა ტრანსპლანტატის ჰისტომორფოლოგიური შესწავლა ექსპერიმენტში (ძალღებზე). მან დაადგინა, რომ გადანერგილი ნაწლავის მონაკვეთი ძირითადად ინარჩუნებს ნაწლავისათვის დამახასიათებელ ჰისტომორფოლოგიურ სურათს. საკითხის შემდგომი შესწავლა აქტუალურია და საინტერესო იმ მხრივ, რომ ნაწლავის ტრანსპლანტატი ხვდება მისთვის უჩვეულო ახალ პირობებში (როგორც მექანიკური, ისე ქიმიური თვალსაზრისით). მით უმეტეს, რომ ტრანსპლანტატი გამოითიშება კუჭ-ნაწლავის ერთი მთლიანი ინტრამურული ნერვული კავშირისაგან.


ი. ლაზოვსკისა [5] და ვ. ბერეზენცევის [6] გამოკვლევებით დადგენილია, რომ ვასტროენტერიანსტომოზისა და კუჭის რეზექციის შემდეგ ნაწლავის მომტანი მუხლით კუჭში შემოსული პანკრეასის წვენი და ნაღველი უშუალო გავლენას ახდენს კუჭის ლორწოვან გარსზე და მასში არსებულ ჭირკვლოვან აპარატზე. კუჭში ასეთი არაადექვატური გამაღიზიანებლის განუწყვეტელი შემოსვლა პირველ პერიოდში იწვევს ვერ სეკრეტორული ელემენტების რიცხობრივ შემცირებას და დროთა ვითარებაში მის ატროფიას. მცირდება მთავარი ჭირკვლების რიცხვი კუჭის ფუნდურ და სხეულის მიდამოში. შერთულის არეში თავს იჩენს პილორუსისათვის დამახასიათებელი ჭირკვლების მსგავსი წარმონაქმნების წარმოშობა. ამასვე ადასტურებენ ვ. ქლენტის [3], მ. ჩაჩავას [7], ი. ტატიშვილის, ვ. კვერენჩილაძის, თ. დეკანოზიძის [8], რ. ქუმსიაშვილის [9] და სხვების გამოკვლევები.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა არამარტო მლივი ნაწლავის ტრანსპლანტატში მომხდარი მაკრო-მიკრომორფოლოგიური ცვლილებები, არამედ გავრკვეულიყავით იმ მიკრო-სტრუქტურულ ძვრებში, რაც უნდა მოყოლოდა ეიუნოგასტროპლასტიკას კუჭ-ნაწლავის ტრანტის მთელს ზედა ნაწილში. მით უმეტეს, რომ თორმეტგოჯა ნაწლავის სანათურში არსებული მომწვლელი წვენების კუჭში გადასვლას არ უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი, ე. ი. კუჭის ჭირკვლოვანი აპარატი არ განიცდის თორმეტგოჯა ნაწლავიდან მომწვლელი წვენის დამთრგუნველ მოქმედებას. მაშასადამე, თეორიულად შესაძლებელია დავუშვათ, რომ კუჭის რეზექციის ენტეროპლასტიკური წესის დროს, კუჭის ჭირკვლოვანი აპარატი განიცდის რაოდენობრივ შემცირებას თვისობრივობის შედარებითი შენარჩუნებით.

ოპერატიული მეთოდისა და მასალა

იმ მიზნით, რომ შეგვესწავლა საჭმლის მონელების თავისებურებანი კუჭის რეზექციის ორი, პრინციპულად განსხვავებული წესის დროს, პროფ. ა. ბაკურაძის წინადადებით ჩვენ შევიმუშავეთ ოპერაციის ექსპერიმენტული მოდელი, რომლის დროს ცხოველს უკეთდება კუჭის რეზექცია და კუჭიდან იქმნება ორი გასავალი: პირველი—კუჭიდან ნაწლავის ტრანსპლანტატი თორმეტგოჯა ნაწლავში, მეორე—კუჭიდან პირდაპირ მლივ ნაწლავში (სურ. 1).

აღნიშნულ სქემაზე კუჭ-ნაწლავის შერთული წარმოდგენს ე. წ. „ორლუ-
ლას“ კუჭიდან საკვების ნებისმიერი გაშვებისათვის წინასწარ განზრახული მი-
მართულებით (თორმეტგოჯა ნაწლავის გავლით ან მისი გვერდის ავლით). ნაწ-
ლავის სანათურის დასახშობად გამოიყენეთ პოლივინილალკოჰოლისაგან დამზა-
დებული ელასტიკური წვრილი მილი, რომლისაგანაც წინასწარ დამზადებული
იყო მარყუჭი. ნაწლავის წამლებ მუხლზე და ტრანსპლანტატზე დადებული მა-
რყუჭების ბოლო გამოტანილია მუცლის წინა კედლით—გარეთ. ოპერაციიდან
მესამე კვირის ბოლოს საცდელი ცხოველი დაიღუპა ნაწლავის ტრანსპლანტატზე
დადებულ მარყუჭში ნაღვლის ბუშტის ჩაქედვის გამო. სასექციო მასალა გამო-




სურ. 1. ექსპერიმენტული
ობერაციის სქემატური
მოდელი

ვიყენეთ კუჭისა და ნაწლავების პისტო-მორფოლოგიური სურათის შესასწავლად
კუჭის რეზექციიდან 21 დღის შემდეგ. პრეპარატები მზადდებოდა კუჭის, ნაწ-
ლავის ტრანსპლანტატის, მლივი ნაწლავის წამლები მუხლისა და შერთულების
უბნებიდან. პრეპარატებს ვღებავდით დომინიჩ-კედროვსკის წესით (ჰემატოქსი-
ლინი და ეოზინი, პიკროფუქსინი).

ოპერაციიდან 21 დღის შემდეგ შესწავლილი მიკრო-მორფოლოგიური სურ-
ათი გვიჩვენებს, რომ მლივი ნაწლავის ტრანსპლანტატი შეხორცებულია რო-
გორც კუჭთან, ისე თორმეტგოჯა ნაწლავთან. შეხორცებულია აგრეთვე კუჭ-ნა-
წლავის შერთული. შერთულების მიდამოში ნახული სტრუქტურული ცვლილე-
ბები წარმოდგენს იმ ცვლილებებს, რაც ახასიათებს დაახლოებით სამი კვი-
რის ხანდაზმულობის რეგენერატს (სურ. 2).

რეზეცირებული კუჭის ლორწოვანი გარსი განიცდის მკვეთრ სტრუქტურ-
ულ ცვლილებებს, რაც ლორწოვანი გარსის პარენქიმული უჯრედებისა და შე-
რთულში მონაწილე ორგანოების ინტრამურული ნერვული აპარატის დისტრო-
ფიული ცვლილებებით გამოიხატება. ამას გარდა, როგორც კუჭის, ისე ნაწლავის
კედელში აღინიშნება ლიმფოიდური და პლაზმურ-უჯრედოვანი ინფილტრატები
(სურ. 3).

მეორე ძალზე ვაწარმოეთ კუჭის ერთი მესამედი ნაწილის რეზექცია და
კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ტაკვებს შორის მლივი ნაწლავის სეგმენტე-
ბის ინტერპოზიცია კუპრიანოვ-ზახაროვის წესით (სურ. 4).




სურ. 2. კუჭ ნაწლავის შერთვის ნიდანო ოპერაციიდან 3 კვირის გავლის შემდეგ (ექსპერიმენტი). მიკროფოტოგრაფია, შელ. ჰენატოქსილინით და ეოზინით. გად. 15×8 .



სურ. 3. კუჭისა და ნაწლავის ლორწოვან გარსში ლიმფოციტურ და პლაზმურ-უჯრედოვანი ინფილტრატები ოპერაციიდან 3-კვირის გავლის შემდეგ (ექსპერიმენტი). მიკროფოტოგრაფია. შელ. ჰენატოქსილინით და ეოზინით. გად. 7×8 .


ტრანსპლანტაციიდან 5 თვის შემდეგ კუჭში ტრანსპლანტატთან სიახლოვეთ აღინიშნება მუკოიდური სეკრეტის გამოყოფი პილერული ჭირკვლების მსგავსი წარმონაქმნები. ასეთი ჭირკვლოვანი წარმონაქმნები აღინიშნება ტრანსპლანტატის პროქსიმალურ ნაწილშიც (სურ. 5). აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებები იმაზე მიუთითებს, რომ ტრანსპლანტატის ლორწოვან გარსში მიმდინარეობს მეტაპლაზიის მოვლენები, რაც მასში პილორუსისათვის დამახასიათებელი ჭირკვლების გაჩენით გამოვლინდება და რაც უნდა გამოხატავდეს ტრანსპლანტატის შეგუებას ახალ პირობებთან. მისი პილორუსის მსგავსი სტრუქტურისა და ფუნქციის შექმნის სახით. აღნიშნულის სასარგებლოდ მიუთითებს ხაოების დადაბლება ტრანსპლანტატის მიდამოში, რაც აგრეთვე ნაწლავის კედლის სტრუქტურის ცვლილებებს ადასტურებს.

სურ. 4. კუჭის რეზექციის ენტეროპლასტიკური ოპერაციის სქემა კუპოიანოვ-ხახაროვია წესით




ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ოპერაციიდან 5 თვის შემდეგ კუჭის ტრანსპლანტატისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ინტრამუტულ ნერვულ აპარატში არ აღინიშნება სტრუქტურული ცვლილებები. ნორმალური სტრუქტურის ნერვულ ბოჭკოთა კონები არის აგრეთვე შერთულის მიდამოში არსებულ ნაწიბურებში. აღნიშნული ნერვული წარმონაქმნების ნორმალური სტრუქტურა იმაზე მიუთითებს, რომ ყველა დასახელებულ ნაწილში ნაოპერაციევი კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა. არის სრულიად ადეკვატური ინერვაცია, ე. ი. მოხდა შერთულთა შეხორცების დროს ნერვულ ბოჭკოთა ისეთი ზრდა, რომელმაც გააპირობა ნაოპერაციევი უბნების შესაფერი ინერვაცია და ამით ისინი ადეკვატურად ჩართო კუჭ-ნაწლავის ტრაქტის საინერვაციო ქსელში. ნაოპერაციევი უბნების ასეთი ინერვაციით უნდა აიხსნას მათი სტრუქტურისა და ფუნქციის შეგუება ახალ გარემოსთან და ამ შეგუების პროცესში ისეთი სტრუქტურული ცვლილებების აღმოცენება, რაც აპირობებს ნაოპერაციევი უბნების ნორმალურ და საკმლის ქომნელებელი ტრაქტის შესაფერ ცხოველმყოფელობას.

განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა გვამის პათოლოგიურ-ანატომიური გაცვეთის შედეგად მიღებული პრეპარატი. სტამბის მუშას (36 წლისა) 1957 წლის ოქტომბერში თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების გამო ჩაუტარდა კუჭის რეზექცია ენტეროპლასტიკით (კუპრიანოვ-ხახაროვის



სურ. 5. კეჭში ტრანსლან ჯატთან სიახლოვით აღინიშნება მუცლიდური სეკრეტის გამომყოფი პილოუსის ჯირკვლებია მაგასი წარმოქმნები თბეოციიდან 5 თვის გავლის შემდეგ (ექაპეოიმენტი). მიკროფოტოგრაფია.
 შელ. მუცინკარმინით გად. 10×8



სურ. 6. შერთულის მიდამოში ნახი ნაწიბუოი, შერთულთან სიახლოვით და ტრანსალანტატში არის პილორუსისათვის დამახასიათებელი ჯირკვლევანი წარმოქმნები. ნაწლავის ხაოები დადაბლებულია (36 წლის მამაკაცი).

წესით). თითქმის ექვსი წლის განმავლობაში იგი თავს გრძნობდა სრულიად ჯანმრთელად. ეწეოდა ჩვეულებრივ ცხოვრებას. დიეტას არ იცავდა. 1963 წლის ივლისში უბედური შემთხვევის გამო (წყალში დაბრჩობა) მოხდა გაკვეთა დახრჩობიდან 24 საათის შემდეგ, როცა აღინიშნებოდა აშკარად გამოხატული გვამური ცვლილებები.

მაკროპრეპარატი ასეთ სურათს იძლეოდა: რეზეცირებული კუჭი საკმაოდ მოცულობისაა, გარშემო მდებარე ორგანოებთან მცირედ შეხორცებებში. ლორწოვანი გარსი ჩვეულებრივი ნაოქიანობისაა. მღვივი ნაწლავის ტრანსპლანტატი პროქსიმალურ ნაწილში გაგანივრებული და პიპერტროფიული მღვივი ნაწლავისათვის დამახასიათებელი განივი მეტად მაღალი ნაოქიანობით. ტრანსპლანტატი წარმოადგენს რეზეცირებული კუჭის ნაწილის ბუნებრივ შემცველს, რომელიც თავისი კედლების კუნთოვანი გარსის ხარჯზე პიპერტროფიით სრულიად შეგუებულია ახალ სარეზერვუარო ფუნქციას. ტრანსპლანტატის დისტალური ნაწილის გაგანივრებას არ აქვს ადგილი. აქ ტრანსპლანტატის სანათური შეეფერება დაახლოებით პირვანდელ ზომას და ლორწოვანი გარსის ნაოქები ისე ძლიერად არაა გამოხატული. შერთულის მიდამოებში მაკროსკოპულად რაიმე ტროფიკული და ანატომიური ცვლილებები არ აღინიშნება. კუჭის ლორწოვანისა და ტრანსპლანტატის ლორწოვანს შორის ნაწიბური თვალით აღარ ეტყობა. ეს ადგილი გამოირჩევა მხოლოდ ნაოქების სხვადასხვა მიმართულებით. შერთულის მიდამოში ნაწიბურები ნაზია და დეფორმაციას არ აქვს ადგილი. იმასვე ადასტურებს მიკრომორფოლოგიური გამოკვლევა და მიუხედავად იმისა, რომ გვამური მოვლენების გამო ნატიფი ცვლილებების გამოვლინება არ მოხერხდა, მაინც შესაძლებელი გახდა იმის აღნიშვნა, რომ ანასტომოზთან ახლო და ტრანსპლანტატში არის პილორუსისათვის დამახასიათებელი ჭირკვლოვანი წარმონაქმნები და აღინიშნება ნაწლავების ხაობის შედარებითი დადაბლება (სურ. 6). ეს კუჭის ტაქისა და ტრანსპლანტატის ახალ პირობებთან შეგუებას მიუთითებს.

დასკვნები

1. კუჭის რეზექციისა და მის შემდეგ გასტროეინოლასტიკის პირველ კვირეებში კუჭისა და ტრანსპლანტატის ლორწოვან გარსში ადგილი აქვს ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც გამოიხატება ერთი მხრივ ჭირკვლოვანი და ხერვული აპარატის დეგენერაციის მოვლენებში, ხოლო მეორე მხრივ, იწყება ახალი ელემენტების წარმოშობა პილორუსის ჭირკვლების მსგავსი წარმონაქმნების სახით.

2. დროთა ვითარებაში ადგილი აქვს კუჭისა და ტრანსპლანტატის ლორწოვანში მეტაბლაზის მოვლენებს ახალ პირობებთან შეგუების მიზნით. ეს მოვლენა უმთავრესად გამოიხატება მუკოიდური სეკრეტის გამომყოფი პილორუსის ჭირკვლების მსგავსი ჭირკვლების წარმოშობის სახით.

3. ოპერაციიდან ხუთი თვის შემდეგ საცდელი ცხოველის კუჭში და ტრანსპლანტატში ინტრამუტრული ნერვული აპარატი აღმდგარია სრულად და იძლევა



ნორმალურ პათოლოგიურ-მორფოლოგიურ სურათს, რაც მიუთითებს კუჭის ტრანსპლანტატის ახალი პირობებისადმი ადაპტაციაზე.

ბორჯომის ქალაქის საავადმყოფო

(რედაქციას მოუვიდა 23.4.1964)

АНАТОМИЯ

Г. П. ЗУБАДАЛАШВИЛИ

О СТРУКТУРНЫХ ИЗМЕНЕНИЯХ СЛИЗИСТОЙ ОБОЛОЧКИ ЖЕЛУДКА И ТОЩЕКИШЕЧНОГО ТРАНСПЛАНТАТА ПОСЛЕ ГАСТРОЕЮНОПЛАСТИКИ

Резюме

В связи с ограниченным применением способа операции Бильрот-I в последнее время постепенно распространяется гастроеюнопластический способ резекции желудка, техническая и физиологическая сторона которого в определенной степени освещена в периодической литературе, но морфологическая сторона еще совсем не обоснована. С этой целью нами микроморфологически изучены структурные изменения слизистой оболочки резецированного желудка и энтеротрансплантата в эксперименте на собаках в разные сроки после операции и на человеке.

брионов: развитие одного эмбриона останавливалось на первой неделе, а второй эмбрион развивался относительно удовлетворительно, хотя и погибал на последней неделе беременности. У некоторых животных большинство эмбрионов были мертвые, а родившиеся живые детеныши погибли в ближайшие дни после рождения (в течение 3—4 дней).

Следует отметить уродство одного поколения отравленной матери (дозой 0,15 г/кг). У кролика отмечались деформация шеи и нарушение координации движения: кролик вращался вокруг продольной оси туловища, что указывает на нарушение функции вестибулярного аппарата и является результатом нарушения функции вегетативной нервной системы.

Выводы

1. Среди марганцевых соединений наиболее токсичным является перманганат калия.

2. Утяжеление процесса поражения, вызванное соединениями марганца, находится в зависимости не только от дозы, но в значительной мере и от продолжительности их введения.

3. Соединения марганца в небольших дозах при повторном и хроническом отравлении одинаково угнетают половую функцию животных обоих полов.

4. Особенно длительное нарушение половой функции подопытных животных наблюдается при их повторной и хронической затравке.

5. Животные в первой половине беременности более чувствительны к воздействию соединений марганца, чем в позднем периоде.

6. Установленное нами эмбриотропное и гонадотропное действие соединений марганца, по всей вероятности, можно объяснить специфическим действием соединений марганца, ибо при пероральной затравке животных дозой 0,05; 0,1 и 0,15 г/кг не обнаружено заметных общих расстройств, в частности со стороны морфологического состава периферической крови и морфологических изменений внутренних органов, углеводного обмена и функции свертывания крови, тогда как при таких условиях затравки функция половых желез значительно изменена.

Институт гигиены труда и профзаболеваний им. Н. Г. Махвиладзе

Тбилиси

(Поступило в редакцию 12.10.1964)

მასპერემენტული მდივინა

რ. მანჯგალაძე

მარბანეციის შენაერთების გონადოტროპული და ემბრიოტროპული მოქმედების ზოგიერთი საკითხი

რეზიუმე

ჩატარებული გამოკვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს ორგანიზმზე მარბანეციის შენაერთების (MnO_2 , $MnCl_2$, $MnSO_4$, $KMnO_4$) გონადოტროპული და ემბრიოტროპული მოქმედების თავისებურებანი.

ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადგენილ იქნა, რომ მარბანეციის შენაერთებიდან განსაკუთრებული ტოქსიკურობით ხასიათდება კალიუმის პერმანგანატი, რომლის მოქმედება მარბანეციის სხვა შენაერთებისაგან განსხვავდება როგორც თავისობრივად, ისე რაოდენობრივად.



შრომაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მარგანეცის შენაერთების მოქმედებას სასქესო ორგანოებზე და ემბრიონზე. დადგენილია, რომ მარგანეცის შენაერთების მოქმედების შედეგად დედალ ცხოველებში ადგილი აქვს სასქესო ციკლის მოშლას და ხანგრძლივ სტერილობას. აღინიშნება აგრეთვე მაკეობის გახანგრძლივება, ემბრიონთა არათანაბარი განვითარება, მკვდრად შობადობა, სიცოცხლისუნარო ნაყოფის შობა.

ასეთივე ღრმა ცვლილებები ვითარდება მამალ ცხოველებში, რაც გამოიხატება სპერმატოზოიდების მოძრაობის შენელებაში სრულ მოსპობამდე. ორგანიზმში მზამის შეყვანის შეწყვეტის შემდეგ ადგილი აქვს სპერმატოზოიდების გამომუშავებას, მაგრამ ისინი მოძრაობენ არააქტიურად და მოკლებულნი არიან განაყოფიერების უნარს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასქესო სფეროზე მარგანეცის მიწვე მოქმედება იმდენად არ არის დამოკიდებული დოზაზე, რამდენადაც მისი მოქმედების ხანგრძლივობაზე.

ცდებით დამტკიცებულ იქნა, რომ ცხოველები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან მაკეობის პირველ პერიოდში. ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ კალიუმის პერმანგანატი იწვევს სიმამხინჯეების განვითარებას პირველ თაობაში. მარგანეცის სხვა შენაერთები (MnO_2 , $MnCl_2$) ხასიათდება შედარებით ნელი, სუსტი და ხანმოკლე მოქმედებით, კალიუმის პერმანგანატთან შედარებით.

გამოკვლევების შედეგები მიუთითებენ, რომ მარგანეცის შენაერთები, განსაკუთრებით კალიუმის პერმანგანატი, ხასიათდებიან გონადოტროპული და ემბრიოტროპული მოქმედებით, რაც მათ სპეციფიკურ თვისებად უნდა ჩაითვალოს, რადგან აღნიშნული ცვლილებები ვითარდება მცირე დოზების მოქმედების შედეგად, როდესაც ცხოველების საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

დასოწმებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Л. И. Котляровский. Механизм действия марганца на центральную нервную систему животных, 1961.
2. Н. В. Лазарев, Э. Н. Левина. Окислы марганца, 1962.
3. А. Ф. Макарченко. Изменения нервной системы при интоксикации марганцем, 1956.
4. O. Ehrismann. Untersuchungen über die Aufnahme von Staub durch die Atemwege. II Über die Aufnahme von Braunsteinstaub. Ztschr. für Hyg. und Infektionskrankh., 1935; Neuere Fragen aus dem Gebiet der Arbeitshygiene. V. Mangan. Deutsch. Med. Wschr., Berlin, 1939; Über den Einfluss des Mangans auf Körpergewicht und Fortpflanzung. Ztschr. für Hyg. und Infektionskrankh., 122,2 1939.
5. Р. Н. Манджгаладзе, В. И. Вашакидзе, С. С. Маркарова, Л. А. Кахидзе. Некоторые клинико-экспериментальные данные о токсических свойствах перманганата калия. Сообщения АН ГССР, XXXVI: 3, 1964, 675—682.



კლინიკური მიღწივნა

ა. კვიციანი

ინფექციური მონონუკლეოზის კლინიკისა და დიაგნოსტიკის
საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ი. ტატიშვილმა 20.7.1964)

ინფექციური მონონუკლეოზი (ფილტრვის დაავადება) ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ ინფექციურ დაავადებათა ჯგუფს მიეკუთვნება.

ბოლო ხანებში ჩატარებული გამოკვლევებისა და კლინიკური დაკვირვების შედეგად ამ დაავადების შესწავლის საკითხში ბევრი სიცხადეა შეტანილი, მაგრამ მთელი რიგი საკითხები (ეტიოლოგია, ეპიდემიოლოგია, პათოგენეზი, განსაკუთრებით კი კლინიკა) ჯერ კიდევ საკმარისად არაა ცნობილი და შემდგომ გამოკვლევებსა და დაზუსტებას მოითხოვს.

მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენთან გატარებულ 470 ავადმყოფიდან სწორი დიაგნოზით გადმოგზავნილი იყო მხოლოდ 11 ავადმყოფი (დანარჩენები სხვადასხვა დიაგნოზით: წითელა, დიფთერია, ყბაყურა, ანგინა, ეპიდემიური ჰეპატიტი, გრძობი, ქუნთრუშა, მუცლის ტიფი და სხვ.), თავის თავად მეტყველებს, თუ რამდენად უცნობია ფილტრვის ავადმყოფობა ექიმთა ფართო წრისათვის.

ინფექციური მონონუკლეოზით ძირითადად ავადდებიან ბავშვები და ახალგაზრდები. დაავადება მიმდინარეობს ხშირად საშუალო სიმძიმით, ზოგჯერ მძიმედაც და იშვიათად სიკვდილითაც მთავრდება.

ჩვენ მიზნად დავისახეთ საკმაოდ ხანგრძლივი კლინიკური დაკვირვებისა და ზოგიერთი ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე მოგვეცა ამ დაავადების კლინიკური დახასიათება. დაგვედგინა ზოგიერთი კლინიკურ-დიაგნოსტიკური და ლაბორატორიული მეთოდების ღირებულება ამ დაავადების დიაგნოსტიკის საკითხში, შეგვექმნა ამ დაავადების შედარებით ადვილად გამოსაყენებელი, მარტივი კლასიფიკაცია.

ბოლო წლებში მკვლევართა ერთი ნაწილი დასაშვებად თვლის ფილტრვის დაავადების ქრონიკული ფორმების არსებობას. ჩვენი შორეული დაკვირვება განწერილ ავადმყოფებზე (1-დან 5 წლამდე) ვფიქრობთ ერთდავეარ წელიწადში იტანს როგორც ამ საკითხის დაზუსტებაში, ისე მისი შორეული შედეგების შესწავლაში.

1952—1963 წწ. კლინიკაში გატარებულ ავადმყოფებში (470) ჭარბობდა მამრობითი სქესი (შეფარდება 2:1). ასაკის მიხედვით ასეთი სურათი იყო: 1 წლამდე—53 ავადმყოფი, 1-დან 3 წლამდე—105, 3-დან 5 წლამდე—102, 5-დან 7 წლამდე—50; 7-დან 10 წლამდე—68, 10-დან 14 წლამდე—47, 16 წლისა და ზევით—45 ავადმყოფი.



დაავადება გვხვდება წლის ყველა დროში; ჩვენი მასალის მიხედვით, მატულობს ზამთრისა და გაზაფხულის თვეებში. ოჯახური დაავადების შემთხვევები, რაც აღწერილი აქვს ნ. ფილატოვისა [4] და სხვებს, ჩვენ მიერ ფიქსირებულია 5 შემთხვევაში.

ჩვენი დაკვირვებით, ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა 6—14 დღეს უდრის.

ავადმყოფთა 88,3%-ს დაავადება დაეწყო უეცრად, მაღალი ტემპერატურით; 11,7%-ს კი — თანდათანობით, სუბფებრილური ტემპერატურით. ტემპერატურის მომატებასთან ერთად 93,1%-ში აღინიშნებოდა პერიფერიული ლიმფური კვანძების გადიდება, რაც ამ დაავადების ერთ-ერთ წამყვან სადიაგნოსტიკო ნიშანს წარმოადგენს. ლიმფური კვანძების სიდიდზე მერყეობს თხილის კაკლის ოდენობიდან (75%) ბერძნული თხილის ოდენობამდე (19,1%). არც ისე იშვიათად (5,9%) კვერცხის გულის ოდენობას აღწევს, გადიდებული ლიმფური კვანძები მომკვრივო კონსისტენციისა 86,4%-ში. რბილი კონსისტენციისა — 13,6%-ში. პერილიმფატიკური შეშუპება აღინიშნებოდა მხოლოდ 3 ავადმყოფს. კლინიკაში ყოფნის პერიოდში გადიდებული ლიმფური კვანძები დაუცხრა ავადმყოფთა 34,9%-ს, მკვეთრად შემცირდა 30,9%-ში. შემცირებული ლიმფური კვანძებით კლინიკიდან გაეწერა ავადმყოფთა 34,2%, რაც შეიძლება დარჩენილებისა და თვეების განმავლობაში.

ტემპერატურული რეაქცია წარმოადგენს ფილატოვის დაავადების თითქმის მუდმივ თანამგზავრს. იგი ძირითადად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთბაშად იწყება. ჩვენი მასალის მიხედვით, ტემპერატურის რაიმე დამახასიათებელი ტიპი ინფექციურ მონონუკლეოზს არ აქვს. ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს ანგინა (93,6%). არც ისე იშვიათია უანგინო ფორმებიც. კატარული ტიპის ანგინა გამოხატული იყო 8,86%-ში, ლაკუნური 50,23%-ში, ფოლიკულური — 9,09%-ში, ნეკროზული—3,18%-ში. ჩირქოვან-ფიბრინოზული—12,72%-ში, ფიბრინულ-დიფთერიული—14,54%-ში და ფიბრინულ-წყულულოვანი—1,36%-ში.

დიფთერიის ტოქსიკური ფორმებისაგან განსხვავებით, ხახის შემუპება არაა დამახასიათებელი. ჰიპერემია მეტია, ვიდრე დიფთერიის დროს და ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი ვულგარული ტიპის ანგინის შემთხვევაში. ყელის ტკივილი არაა ძლიერი, მაგრამ ყოველთვის მეტია, ვიდრე დიფთერიის დროს.

იშვიათად გვხვდება (161-დან 18 შემთხვევაში) პეტეხიური ხასიათის გამოწყარი რბილ და მაგარ სასახე, რომელიც დაავადების მე-7-ე დღემდე რჩება.

ი. კასირსკი [2], ს. ფლექსერი [3], გ. მარინესკუ [4] მიუთითებენ ინფექციური მონონუკლეოზის დროს კანზე სხვადასხვა ტიპის გამონაყარის არსებობაზე, ჩვენი მასალის 2,6%-ში გამოხატული იყო კანზე ქუნთრუშის, წითელას, წითურისმაგვარი ან ჰემორაგიული ტიპის გამონაყარი, დაავადების სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ხანგრძლივობით.

ზოგიერთი მკვლევარი [4, 5] ნაკლებ ყურადღებას აქცევს ისეთ სიმპტომს, როგორცაა ცხვირიდან სუნთქვის მკვეთრი გაძნელება—პირღია, ზრიალით სუნთქვა. ეს სიმპტომი იშვიათია მოზრდილთა ასაკში, ბავშვთა შორის კი იგი ერთ-

ერთ მუდმივ ნიშანს წარმოადგენს. ჩვენს მასალაზე 7 წლის ასაკამდე იგი გვხვდება 89,8%-ში, 7-დან 10 წლამდე—18,2%-ში, 10-დან 16 წლამდე—6,1%-ში. ამრიგად, ამ სიმპტომს ბავშვთა ასაკში (7 წლამდე) აქვს არა ნაკლები საღიანოსტიკო ღირებულება, ვიდრე ინფექციური მონონუკლეოზის სხვა კარგად ცნობილ სიმპტომებს. არაიშვიათია აგრეთვე კონიუქტივითი, ქუთუთოებისა და თვალის ირგვლივ შეშუპება (5,2%).

ერთგვარ ყურადღებას იქცევს ავადმყოფის ჰაბიტუსიც, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში. შეწუხებული სახე, გადიდებული ლიმფური კვანძები. ამის გამო არა იშვიათად კანის დაჭიმულობა, თავისებურ გამომეტყველებას აძლევს ავადმყოფის სახეს.

ელენთის გადიდება ფილტვების დაავადების ერთ-ერთი კარდინალური ნიშანია. იგი აღინიშნებოდა 95,9%-ში. ელენთა რბილი კონსისტენციისა, უმტკივნეულოა. შემცირება იწყება ტემპერატურის დაცემიდან 2—3 დღის შემდეგ და მიმდინარეობს შედარებით ნელა. გაწერისას გადიდებული ელენთა დარჩა 76 ავადმყოფს, უცვლელ მდგომარეობაში—5-ს.

ღვიძლის გადიდება აღინიშნებოდა ავადმყოფთა 60,8%-ს. კლინიკიდან გაეწერა გადიდებული ღვიძლით 54, უცვლელ მდგომარეობაში კი—3 ავადმყოფი.

ამ საუკუნის 20—30 წლებში აღწერილია ინფექციური მონონუკლეოზის სიყვითლით მიმდინარე შემთხვევები. ჩვენს მასალაზე სიყვითლით მიმდინარე შემთხვევები აღინიშნებოდა 1,5%-ში.

ბიოქიმიური სინჯები, რაც შესწავლილ იქნა ავადმყოფთა ამ ჯგუფზე (ბილირუბინი, თიმოლისა და ველტმანის სინჯი, ტაკატა-არას რეაქცია; ფერმენტები: ალდოლაზა, გლუტამინ-ალანინური და ასპარაგინული ტრანსამინაზები) იძლევა ეპიდემიური ჰეპატიტის მსგავს, მაგრამ უფრო მსუბუქად გამოხატული დაზიანების სურათს. განსაკუთრებით დაბალია ფერმენტების აქტივობის მაჩვენებლები. ინფექციური მონონუკლეოზის სიყვითლით მიმდინარე შემთხვევების დროს დიფერენციული დიაგნოსტიკის საკითხი ძირითადად კლინიკური მონაცემებით უნდა გადაიჭრას.

ცვლილებები კარდიო-ვასკულური სისტემის მხრივ მეტად იშვიათია და მსუბუქად გამოხატული.

სუნთქვის ორგანოების მხრივ ჩვენს მასალაზე გვქონდა 3 ბრონხოპნევმონიისა და მწვავე ლარინგიტის 1 შემთხვევა, რაც ტრანსეოტომიით დამთავრდა. რენტგენოლოგიურად 24 ავადმყოფს აღინიშნებოდა ჰილუსის გაძლიერება, ხოლო 3 შემთხვევაში — ინფილტრაცია, რაც გაქრა ტემპერატურის დაცემიდან 2—3 დღის შემდეგ.

ნერვული სისტემის მხრივ იშვიათად შეიძლება შევხვდეთ ენცეფალიტურ მოვლენებს, პერიფერიული ნერვების დამბლებს (0,5%). ერთ შემთხვევაში საქმე გვქონდა მენინგოენცეფალიტურ მოვლენებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში გამოხატული იყო პოლირადიკულონევრიტის სურათი.

საქმლის მომწივლებელი სისტემის მხრივ 11 ავადმყოფს ჰქონდა გულის რევა, 8-ს—პირღებინება, 10-ს—ჩივილები მუცლის ტკივილზე და პალპატორულად მტკიცეულობა მუცლის არეში.

თირკმელების მხრივ რაიმე სერიოზულ გართულებას ადგილი არ ალბუმინურია ტემპერატურის პერიოდში ჰქონდა 1,5%-ს.

ცვლილებები პერიფერიული სისხლის მხრივ ფილატოვის დაავადების დროს დამახასიათებელია. ადგილი აქვს ლიმფოციტებისა და მონოციტების მომატებას, რაც ლიმფოიდური და რეტროულურ-ენდოთელური სისტემის დაზიანებაზე მიუთითებს [2, 4, 6].

ჩვენი მონაცემებით, ინფექციური მონონუკლეოზი ძირითადად ლეიკოციტოზით მიმდინარეობს: 10—25.000-მდე—338 შემთხვევაში, 25—350 000-მდე—19 შემთხვევაში, არაიშვიათია ზომიერი ლეიკოციტოზი —9—10.00-მდე, ერთეულ შემთხვევაში ადგილი აქვს ლეიკოპენიასაც.

ეთონოფილების მომატება ძირითადად ხდება პირველი კვირის დასასრულსა და მეორე კვირის დასაწყისში. პლაზმატური უჯრედების მომატებას ადგილი აქვს თითქმის ყველა შემთხვევაში და ტემპერატურის დაცემის პერიოდშიდან კლებულობს. პლაზმური უჯრედები—6—8% იყო 104 შემთხვევაში, 9—12% —79 შემთხვევაში, —და 12%-ზე ზევით—19 შემთხვევაში. ერითროციტების დალექვის რეაქცია 5—10 მმ/საათში იყო 40 შემთხვევაში, 10—15 მმ/საათში—109 შემთხვევაში, 16—20 მმ/საათში—125 შემთხვევაში, 20—25 მმ/საათში —62 შემთხვევაში, 25—40 მმ/ საათში—73 შემთხვევაში, 40—45 მმ/საათში—49 და 50 მმ/საათში—12 შემთხვევაში.

ამრიგად, ედრ-ი ინფექციური მონონუკლეოზის დროს მეტად ცვალებადია; უმეტესად კი მაინც მომატებაა გამოხატული. განსაკუთრებით ნეკროზული, ფიბრინული-წყულულოვანი, ჩირქოვან-ფიბრინული ანგინების დროს.

ცვლილებები პერიფერიული სისხლის მხრივ უფრო მკვეთრად გამოვლინდება დაავადების 4—5 დღიდან.

აღინიშნება დიდი და საშუალო ლიმფოციტების სიჭარბე. ატიპური მონონუკლეარები ჩვენ მიერ აღნიშნულია ძირითადად ატიპური ლიმფოციტების სახით. ე. წ. თითისტარისებრივი ფორმები—32,8%. ატიპური მონონუკლეარები საშუალო ლიმფოციტის ოდენობიდან დიდი მონოციტის ოდენობამდე ღია ცისფერი პროტოპლაზმითა და მკვეთრად გამოხატული ბაზოფილებით გვხვდება 16,5%-ში.

პალ-ბუნელის (პეტერო-აგლუტინაციის) რეაქცია დაედგა 75 ავადმყოფს. დადებითი პასუხი მივიღეთ 38 შემთხვევაში, 1:64 განზავებით—3 შემთხვევაში, 1:128 განზავებით—11 შემთხვევაში, 1:256 განზავებით—19 შემთხვევაში, 1:512 განზავებით—5 შემთხვევაში.

უარყოფითი პასუხი მეტწილად 3—7 წლის ასაკის ბავშვებში გვხვდება, რაც ბავშვთა ორგანიზმში აგლუტინინების გვიანი გამომუშავებით უნდა აიხსნას. დაავადების ტიპურობა ან სიმძიმე არ იმყოფება პირდაპირ დამოკიდებულებაში რეაქციის დადებით პასუხთან ან განზავების ტიტრთან, რაც საშუალებას იძლევა ეს რეაქცია გამოვიყენოთ ინფექციური მონონუკლეოზის წაშლილი და ატიპური ფორმების დროს.

რაც შეეხება ინფექციური მონონუკლეოზის მკურნალობის საკითხს მსუბუქი კურსების დროს, საკმარისია: წოლითი რეჟიმი, კალორიული საკვები, ვიტამინები. საშუალო და მძიმე ფორმების დროს ყველაზე რაციონალურად ვთვლით

სტრეპტომიცინისა და პასკის კომბინირებულ ხმარებას, რომლის ეფექტურობა პირველ რიგში ნარჩენი კლინიკური მოვლენების მკვეთრ პროცენტულ შემცირებაში გამოიხატება (ამ წესით მკურნალობა ჩატარდა 338 ავადმყოფს); მძიმე ფორმების დროს კი ნაჩვენებია კორტიკოსტეროიდების ხმარება ანტიბიოტიკებთან ერთად ტემპერატურის პერიოდში და მისი დაცემიდან 3—4 დღის შემდეგ საშუალო კლებადი დოზებით (საერთო კომპლექსური მკურნალობის ფონზე).

დასკვნები

1. ინფექციური მონონუკლეოზი (ფილტოვის დაავადება) თბილისის სინამდვილეში მიმდინარეობს სპორადიული შემთხვევების სახით და წარმოადგენს საკმაოდ გავრცელებულ დაავადებას. ძირითადად ავად ხდებიან ბავშვები, არა-რწმეათია შემთხვევები მოზრდილთა შორისაც. იგი გვხვდება წელიწადის ყველა დროში, უფრო მეტად გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა მერყეობს 6-დან 14 დღემდე.

2. დიაგნოსტიკის ყველაზე საიმედო და დასაყრდენი სიმპტომებია: დაავადების უცარი დაწყება, მაღალი ტემპერატურა, ლიმფური კვანძების შესივება, ელენთის, ღვიძლის გადიდება, ცხვირიდან გაძნელებული სუნთქვა, ანგინა. არაიშვიათად—პეტეხიები რბილ და მაგარ სასაზე, კონიუქტივიტი, ქუთუთოებისა და თვალის ირგვლივი შეშუპება.

3. ინფექციურ მონონუკლეოზს მეტად მრავალფეროვანი კლინიკური გამოვლინება ახასიათებს. ტიპურ ფორმებთან ერთად გვხვდება შემდეგი კლინიკური ვარიანტები: სიყვითლით მიმდინარე, უანგინო, კონიუქტივიტით, თვალის ირგვლივ შეშუპებით, გამონაყარით, მწვავე ლარინგიტით, მენინგოენცეფალიტით, პოლი-რადიკულონევრიტითა და აბდომინალური ნიშნებით მიმდინარე.

4. ძირითად დამხმარე სადიაგნოსტიკო საშუალებას წარმოადგენს ცვლილებები პერიფერიული სისხლის სურათის მხრივ, რაც ლეიკოციტოზში, ლიმფოციტოზში, პლაზმატური უჯრედებისა და ატიპიური მონონუკლეარების არსებობაში გამოიხატება.

5. პაულ-ბუნელის რეაქცია გამოყენებულ უნდა იქნეს ინფექციური მონონუკლეოზის წაშლილი და ატიპური ფორმების აღმოსაჩენად გაურკვეველი ეტიოლოგიის მსუბუქად მიმდინარე დაავადებების, ანგინების სხვადასხვა ფორმების, ზემო სასუნთქი გზების კატარისა და გრიპის დროს (პერიფერიული სისხლის სურათთან ერთად).

6. ყველაზე ეფექტურ სამკურნალო საშუალებას ინფექციური მონონუკლეოზის დროს წარმოადგენს სტრეპტომიცინისა და პასკის კომბინირებულ ხმარება (სიმპტომატიურ მკურნალობასთან ერთად).

ქალაქ თბილისის ინფექციური
საავადმყოფო

(რედაქციას მოუვიდა 20.7.1964)

А. А. КВИТАШВИЛИ

К ВОПРОСУ КЛИНИКИ И ДИАГНОСТИКИ ИНФЕКЦИОННОГО МОНОНУКЛЕОЗА

Резюме

На клиническом материале 1952 — 1962 гг. нами изучено 470 больных с инфекционным мононуклеозом. Установлено, что в г. Тбилиси заболевание протекает спорадически, поражая в основном детский возраст, но нередко и взрослых. Встречается во все времена года, но преимущественно весной и осенью.

Наиболее реальной основой диагноза при инфекционном мононуклеозе является клиническая симптоматология: внезапное начало болезни с высокой температурой, припухлость лимфатических узлов, увеличение селезенки и печени, затрудненное дыхание, так называемый „носовый“ симптом (в основном до 7 лет), ангина, нередко петехии на небе, конъюнктивит и т. д.

Наряду с обычным клиническим проявлением нами выделены клинические варианты, протекающие с желтухой, без ангины, с конъюнктивитом, острым ларингитом, менингоэнцефалитом, полирадикулоневритом, а также абдоминальные формы.

Основным вспомогательным лабораторно-диагностическим методом является изменение картины периферической крови, выраженное в лейкоцитозе, увеличении монолимфоцитов, плазматических клеток и в наличии атипичных мононуклеаров.

Реакцию Пауль-Бунделя вместе с картиной периферической крови можно использовать для выявления атипичных и стертых форм инфекционного мононуклеоза.

Наиболее эффективным лечебным средством инфекционного мононуклеоза мы считаем применение стрептомицина с ПАСЖом в сочетании с другими симптоматическими средствами.

ქართველთა ექიმთა კავშირი — ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Н. Ф. Филатов. Лекции об острых инфекционных заболеваниях у детей. М., 1895.
2. И. А. Кассирский. Об инфекционном мононуклеозе. Клиническая медицина, 3, 1943, 34 — 43.
3. С. Я. Флексер. Клиника болезни Филатова. Вопросы охраны материнства и детства, т. 6, № 8, 1961, 38 — 44.
4. Г. Маринеску. Острый инфекционный лимфоцитоз и инфекционный мононуклеоз. М., 1962.
5. Н. Б. Яхин. Инфекционный мононуклеоз. Киев, 1957.
6. А. Д. Сидорова. О диагностике болезни Филатова. Научные работы аспирантов и клинических ординаторов ЦИУ, вып. 3, 1955, 119 — 133.

კლინიკური მდიცინა

დ. ჩაბანავა

ჰემოროიდული ვენების მრავალი თრომბოფლებიტის კონსერვატიული მკურნალობის საკითხისათვის

(წარმოადგინა აკადემიკოსმა კ. ერისთავმა 15.11.1964)

თრომბოფლებიტი სისხლძარღვთა დაავადებებს შორის ერთ-ერთი მძიმე, მეტად, სასიფათო და საკმაოდ გავრცელებული პათოლოგიაა. ამის გამო იგი მკვლევართა განუწყვეტელი ყურადღების საგანი გახდა. თრომბოფლებიტის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ იქცა, რადგან მეტწილად იგი ხანგრძლივი შრომისუუნარობის მიზეზს წარმოადგენს. ხოლო მისი ნარჩენი მოვლენების მკურნალობა საგრძნობ ხარჯებს მოითხოვს.

თრომბოფლებიტის მკურნალობის არსენალში ძველთაგან მხოლოდ სიმ-შიდე, კილურის უძრავობა, სათბურები და სხვადასხვა სიმპტომატური საშუალებები იყო. ჰირუდინოთერაპიის შემოღებამ (1922 წ.) ერთგვარი გამოცოცხლება შეიტანა თრომბოფლებიტის მკურნალობის საქმეში და თავისი ეფექტურობით მან მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვა [1, 2].

მიუხედავად ამისა, ჰირუდინოთერაპიას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, რომლებიც დაღს ასვამდნენ მის მნიშვნელობას და თრომბოფლებიტის მკურნალობაში ახალი ვეგების ძიების საჭიროებისაკენ მოვიწოდებდნენ.

თანამედროვე ანტიკოაგულანტური საშუალებანი (ჰეპარინი, დიკუმარინი, ბელენტანი, სინკუმარი და სხვა) პროთრომბინის დაქვეითებასა და მკაფიო ანტიკოაგულანტურ ეფექტს იძლევიან, რაც თრომბოზის შემდგომი გავრცელების შეწყვეტასა და ემბოლიური გართულებების შემცირებაში მდგომარეობს.

საბჭოთა მკვლევარების [3, 4, 5, 6] მასალაზე ანტიკოაგულანტებით მკურნალობის კარგი შედეგების არსებობამ, დადასტურა მისი უპირატესობა თრომბოფლებიტის მკურნალობის სხვა მეთოდებთან შედარებით.

საღღესოდ თრომბოზული პროცესების მკურნალობისათვის, თანდათანობით ინერგება აგრეთვე ახალი ფიბრინოლიზური საშუალებები (ფიბრინოლიზინი, უროკინაზა, სტრეპტოკინაზა და სხვა), რომელთა საფუძვლიანი კლინიკური შესწავლა მომავლის საქმეა [7].

რაც შეეხება სხვა სამკურნალო საშუალებებს (ნოვოკაინის ლუმბალური ბლოკადა, რენტგენოთერაპია და სხვა) ისინი სისხლის კოაგულაციურ სისტემას უშუალოდ არ ეხებიან და თრომბოფლებიტის კონსერვატიული მკურნალობის საქმეში მათ არა ძირითად, არამედ დამხმარე როლს აკუთვნებენ.

ჩვენი მასალა 1947—64 წწ. შემთხვევებს მოიცავს და 132 ავადმყოფის კლინიკურ შესწავლას ეყრდნობა.

132 ავადმყოფიდან 70 შემთხვევაში პროცესი ზერელე, 52 შემთხვევაში ღრმა, ხოლო 10 შემთხვევაში ერთდროულად ღრმა და ზერელე ვენებში ლოკალიზდებოდა. თრომბოფლებიტი ერთ ქვემო კილურში ჰქონდა 120 ავადმყოფს, ორივე ქვემო კილურში—9-ს, ოთხივე კილურში—2-ს, ქვემო და ერთ ზემო კი-

დურში—1 ავადმყოფს. მეტწილად საქმე მარცხენა ქვემო კიდურის დაზიანებას შეეხებოდა (65,8%-ში), რასაც ნ. ტ რ ი ნ კ ლ ე რ ი [8] და სხვები მარცხენა ქვემო კიდურის ვენების ანატომიური განლაგების თავისებურებითა და მათი ფუნქციონალური სისუსტით ხსნიან.

თრომბოზული პროცესი, ღრმა ვენებში ლოკალიზაციის დროს, უფრო მეტ მიდრეკილებას იჩენდა გავრცელებისაკენ (70,2%-ში იგი მთელ კიდურს მოიცავდა); იგი დაკავშირებული უნდა იყოს ინფექციური აგენტის წამყვან როლთან, რაც პროცესს უფრო მწვავე და გავრცელებულ ხასიათს აძლევს. მართლაც, მასალის განხილვისას ეტიოლოგიური მომენტის მიხედვით, ღრმა ვენების თრომბოფლებიტის დროს, 87,5%-ში ადვილი ჰქონდა სხვადასხვა ვირულენტობის ინფექციას; მაშინ, როდესაც პროცესის ზერელე ვენებში ლოკალიზაციისას, ავადმყოფთა 72,8%-ი დაავადების დაწყებას რაიმე გარკვეულ მიზეზს არ უკავშირებდნენ.

თუ მასალას განვიხილავთ სქესის მიხედვით, დავინახავთ, რომ იგი ქალებსა (49,2%) და კაცებში (50,8%) თითქმის თანაბრად ნაწილდება. მაგრამ პროცესის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით ეს თანაფარდობა ირღვევა. ზერელე ვენების თრომბოფლებიტის დროს ქალთა სიჭარბე აღინიშნებოდა (58,6%), რაც ქალებში ვარიკოზის, როგორც დამატებითი ეტიოლოგიური მომენტის, სიზშირით უნდა აიხსნას.

მასალის განხილვით ირკვევა, რომ თრომბოფლებიტური პროცესი უფრო ხშირად ხანდაზმული ასაკის ხედრია (59%). რაც აიხსნება ამ ასაკში გულ-სისხლძარღვთა სხვადასხვა დაავადებების არსებობით, რომლებიც ხელს უწყობენ თრომბოზული პროცესის განვითარებას.

132-დან 97 ავადმყოფი ჩვენს დაკვირვებაში მოხვდა დაავადების დაწყებიდან პირველ კვირაში, 23—მეორე კვირაში, 9—მესამე კვირაში, ხოლო 3 ავადმყოფი—უფრო მეტი ხნის შემდეგ. მიუხედავად ამისა, ყველა ავადმყოფი თრომბოფლებიტის მწვავე სტადიაში იმყოფებოდა. ავადმყოფთა 27,1%-ს პროცესის პროქსიმალური მიმართულებით გავრცელება ან ახალი თრომბოზული კერების გაჩენა აღენიშნებოდა. ჯერ კიდევ ჩაუცნობელი პირველადი კერების ფონზე.

საკუთარი მასალის განხილვამ დაგვარწმუნა, რომ უმჯობესია თრომბოფლებიტის დაყოფა მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკულ სტადიებად, ნაცვლად არსებული კლასიფიკაციისა, რომელიც მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკულ ფორმებს ითვალისწინებს. ასეთივე აზრისაა ფ. ს ი დ ო რ ი ნ ა [4].

თრომბოფლებიტის დაყოფა სტადიებად მიზანშეწონილია თუნდაც იმიტომ, რომ იგი ასახავს ერთსა და იმავე პათოლოგიური პროცესის განვითარების სხვადასხვა ფაზებს, ანუ პერიოდებს. მართლაც მეკვლევისათა უმრავლესობა ([2] და სხვ.) თრომბოფლებიტის ფორმებში დაავადების ცალკეულ სახეებს კი არ გულისხმობს, არამედ მწვავე პროცესის გადასვლას ქვემწვავე ფაზაში და ბოლოს ქრონიკულში. თითოეული სტადიის ხანგრძლივობა კი, ჩვენი აზრით, განისაზღვრება არა მარტო დროის ფაქტორით, არამედ დაავადების მიმდინარეობის თავისებურებითა და მკურნალობის ხასიათით.

კლინიკაში შემოსვლამდე კონსერვატიული მკურნალობა წოლითი რეჟიმით, ანტიბიოტიკებითა და წურბელებით ჩატარებული ჰქონდა 53 ავადმყოფს; აქედან პათოლოგიური პროცესის შედარებით ჩაცხრომა დაავადების პირველ კვირაში 4 შემთხვევაში აღინიშნა. 13 შემთხვევაში ავადმყოფის მდგომარეობას რაიმე ცვლილებები არ განუცდია, ხოლო 36 შემთხვევაში ადვილი ჰქონდა პროცესის გავრცელებას.

ჩვენი მასალის მიხედვით, დაავადების კლინიკური ნიშნები სხვადასხვა სიმძიმით იყო გამოხატული; კერძოდ, მტკივნეულობა და ტკივილები ყველა შემთხვევაში იყო აღნიშნული. მაღალი ტემპერატურა (38° და მეტი) ღრმა ვენე-

ბის თრომბოფლებიტის დროს აღინიშნებოდა 83,9%-ში, კიდურის მკვეთრი შეწყვეტა—73%-ში, პერიფლემბიტური ინფილტრაცია—45,2%-ში, რეგიონალური ლიმფური ჯირკვლების ვადიდება—27,4%-ში. პულსაცია ტერფის არტერიებზე 18 შემთხვევაში არ ისინჯებოდა, 35-ჯერ შესუსტებული იყო, ხოლო 5-ჯერ—ნორმალური. დაავადებული კიდურის კანის ტემპერატურა 14-ჯერ მონატებული იყო, 18-ჯერ—დაქვეითებული, ხოლო 8-ჯერ—თანაბარი. სისხლის მხრივ ცვლილებები ძირითადად ლეიკოციტოზისა და ედრ-ის აჩქარებით გამოიხატებოდა.

რაც შეეხება თრომბოციტების რაოდენობას სისხლის შედედების დროს, წებოვნებასა და პროთრომბინის მაჩვენებელს, რაიმე კანონზომიერება მათ ცვლილებებში არ შეგვიძინებია. შარდის მხრივ ცვლილებები ერთეული ერთობლივების, ლეიკოციტებისა და ცილინდრების სახით 6 ავადმყოფს აღენიშნებოდა და ისიც თრომბოფლებიტის მხოლოდ სეპტიკური ფორმების დროს იქნა შემჩნეული. ჩვენი დაკვირვებებით, იგი ძირითადი პროცესით გამოწვეული ინტოქსიკაციის შედეგი უნდა იყოს, რაც ანტიკოაგულანტებით მკურნალობის დროს ქრება.

ზერვლე ვენების თრომბოფლებიტის 26 შემთხვევიდან, დათრომბებულ კვანძებსა და ზონარებთან ერთად, ზოგადი ანთებადი მოვლენები (სხეულის ტემპერატურის მომატება, შემცივნება, ცვლილებები სისხლის მხრივ და სხვა) აღენიშნებოდა 18 ავადმყოფს.

ფილტვის არტერიის ტოტების ემბოლიით ვართულება 16-ჯერ იქნა დადგენილი და ყველა შემთხვევაში ღრმა ვენებთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ემბოლიის 16 შემთხვევიდან 11 განვითარდა ოპერაციის შემდგომ პერიოდში.

ჩვერ დაკვირებაში მყოფი 132 ავადმყოფიდან 88-ს ჩაუტარდა კომპლექსური კონსერვატიული, ხოლო 44-ს — ქირურგიული მკურნალობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში თრომბოფლებიტის ოპერაციული მკურნალობის დანერგვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. მ. ჩაჩავას (1950).

კონსერვატიული მეთოდებით ნამკურნალევი 88 ვადმყოფიდან 12-ს ჩაუტარდა პირუდინოთერაპია, ხოლო 76-ს, ანტიკოაგულანტებით მკურნალობა. 88 ავადმყოფიდან 62 შემთხვევაში საქმე შეეხებოდა ღრმა, ხოლო 26 შემთხვევაში—ზერვლე ვენების თრომბოფლებიტს.

ანტიკოაგულანტებით მკურნალობა ჩვენს კლინიკაში 1953 წლიდან დაინერგა. დასაწყისში მხოლოდ დიკუმარინს, ხოლო 1957 წლიდან პელენტანს ვიყენებდით და უპირატესობას ამ უკანასკნელს ვანიჭებდით. ჩვენს მასალაზე დიკუმარინი 34-ჯერ, ხოლო პელენტანი 42-ჯერ იქნა ხმარებული; აქედან 14 შემთხვევაში ანტიკოაგულანტებით მკურნალობის დასაწყისში ჰეპარინიც იყო გამოყენებული.

ანტიკოაგულანტებით მკურნალობის დროს პროთრომბინის განსახლვრას ჩვენს კლინიკაში ძირითადად ლ. ბაროვსკაიასა და ს. როვინსკაიას [9] წვეთოვანი მეთოდით ვაწარმოებდით, აღნიშნული მეთოდი მარტივია და მისი გამოყენება პრაქტიკულად ხელმისაწვდომია.

პროთრომბინის ნორმალურ მაჩვენებლად ვთვლიდით მონაცემებს 80-დან 100%-ის ფარგლებში. პროთრომბინის განმეორებითი გამოკვლევა ხდებოდა მკურნალობის დაწყებიდან მე-4— მე-5 დღეს და ანტიკოაგულანტების შემდგომი დოზირებაც წარმოებდა რაიმე სტანდარტული სქემის გარეშე, პროთრომბინის მაჩვენებლის მიხედვით.

მკურნალობის პროცესში ანტიკოაგულანტებს განუწყვეტლივ ვაძლევდით. დღე-ღამის დოზას სამჯერადი მიღებისათვის ვანაწილებდით და პროთრომბინის

სამკურნალო-ფეფქტურ დონედ 30—40%-ს ვთვლიდით. პროთრომბინის ასეთი მაჩვენებლები მკურნალობის განმავლობაში შემთხვევათა 81,6%-ში შევინარჩუნეთ. პროთრომბინის აღნიშნულ დონეზე თრომბოემბოლიურ და ჰემორაგიულ გართულებებს ადგილი არ ჰქონია.

თრომბოფლებიტი მკურნალობის პროცესში, პროთრომბინის გამოთვლას ვაწარმოებდით საკონტროლო დროიდან, რადგან იგი უფრო მყარ მაჩვენებლებს იძლევა და თავისი მნიშვნელობით ყველა ავადმყოფისათვის საერთოა.

პროთრომბინის საწყისი დონე 76 ავადმყოფიდან 7-ს დაქვეითებული ჰქონდა. 27-ს—ნორმალური, ხოლო 32-ს—მომატებული. პროთრომბინის მაჩვენებლის დაბალი რიცხვების არსებობისას შვიდივე ავადმყოფზე საქმე მძიმე და გართულებულ შემთხვევებს შეეხებოდა. მსგავსი მოვლენა შენიშნეს სხვა მკვლევარებმაც. ზოგი მკვლევარი მას ნეირორეფლექტორულ აქტად თვლის. ჩვენი აზრით, მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აგრეთვე ცენტრალური ნერვული სისტემის ტიპობრივ თავისებურებებს და ორგანიზმში არსებული პროთრომბინის რაოდენობრივ დანაზარჯს, რასაც თან სდევს ცირკულაციაში მყოფი პროთრომბინის დაქვეითება.

ჩვენი დაკვირვებების დასაწყისში 45 ავადმყოფს ანტიკოაგულანტებს ვაძლევდით ერთი სტანდარტული სქემით: დიკუმარინს—პირველ სამ დღეს—დღეში 0.2-ს. მე-4 დღეზე—დღეში 0.1-ს; პილენტანს—შესაბამისად—0,9-სა და 0.6-ს. აღმოჩნდა, რომ 45-დან 26 შემთხვევაში პროთრომბინის დონე მე-5 დღეზე 35—50%-მდე დაეცა (ნორმალური რეაქციის მქონე ავადმყოფთა ჯგუფი). 10 შემთხვევაში 35%-ზე დაბლა დაეცა (ანტიკოაგულანტების მიმართ არამდგრადი ავადმყოფები). 9 შემთხვევაში კი მხოლოდ უმნიშვნელოდ (52-დან 80%-მდე) დაქვეითდა (ანტიკოაგულანტების მიმართ მდგრადი ავადმყოფები).

ჩვენი დაკვირვებით, პროთრომბინის საწყის მაჩვენებელსა და ავადმყოფის სავასუხო რეაქციას შორის ანტიკოაგულანტების დარტყმითი დოზების მიმართ, მეტწილად პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არსებობს. აქედან გამომდინარე, ანტიკოაგულანტებით მკურნალობის დაწყებისას ანგარიში უნდა გაეწიოს პროთრომბინის საწყისი მაჩვენებლებს. დანარჩენ 31 ავადმყოფს პროთრომბინის დაბალი საწყისი დონის დროს, ანტიკოაგულანტების დოზები შესაბამისად შევუმცირეთ, ხოლო მაღალი მაჩვენებლების არსებობისას —ავუღიდეთ. ამით შემთხვევათა უმრავლესობაში (72%) პროთრომბინის მაჩვენებლის თანაბარზომიერი დაქვეითება მივიღეთ.

ანტიკოაგულანტებით მკურნალობის პროცესში პროთრომბინის მინიმალური დონე 25%-ის ქვემოთ 8 ავადმყოფს აღენიშნა. ეს მაჩვენებლები მკურნალობის ერთ-ერთ ეტაპზე იქნა კონსტანტირებული და ჰემორაგიული გართულებების არარსებობის დროს რაიმე განსაკუთრებულ შემფოთებას არ იწვევდნენ.

ანტიკოაგულანტებით მკურნალობის დროს ჰემორაგიული გართულებები 12 შემთხვევაში (15,8%) აღინიშნა; აქედან 8 შემთხვევაში—მიკროჰემატურია, 2 შემთხვევაში—მაკროჰემატურია, 1 შემთხვევაში—მაკროჰემატურია და ცხვირიდან სისხლდენა, ერთ ავადმყოფს აღენიშნებოდა მეტრორაგია.

მიკროჰემატურიის დროს, თუ იგი პროთრომბინის მაჩვენებლის 20%-ის ზემოთ ვითარდებოდა, ავადმყოფს ჰემოსტაზურ საშუალებებს არ ვუნიშნავდით და ანტიკოაგულანტებით მკურნალობის ხანმოკლე შეწყვეტით ვკმაყოფილდებოდით. აღნიშნული ტაქტიკის უპირატესობაში დავგარწმუნა ორმა შემთხვევამ, როცა მიკროჰემატურიის გამო ანტიკოაგულანტების მოხსნამ და ჰემოსტაზური

საშუალებების დანიშვნამ პროთრომბინის დონის ერთბაშად მოძატება გამოიწვია, რასაც თან მოჰყვა თრომბოზული პროცესის გავრცელება.

ჰემორაგიის დანარჩენ 4 შემთხვევაში სხვადასხვა ჰემოსტაზური საშუალებებია იქნა გამოყენებული, ხოლო ერთ შემთხვევაში საჭირო გახდა ახალი ციტრატული სისხლის გადასხმა.

ჩვენს პრაქტიკაში, სიცოცხლისათვის სახიფათო სისხლდენას ორჯერ ჰქონდა აღდგომა და იგი ანტიკოაგულანტების ჰარბ და თვითნებურ მიღებასთან იყო დაკავშირებული.

რაც შეეხება თრომბოემბოლიურ გართულებას, ჩვენს მასალაზე მას 3-ჯერ ჰქონდა აღდგომა. იგი გამოიხატა: ერთხელ—ფილტვის ინფარქტით, ორჯერ—თრომბოზული პროცესის გავრცელებით. 3-დან 2 შემთხვევაში გართულების მიზეზს ანტიკოაგულანტების არასაკმარის დოზირება წარმოადგენდა. იგი ანტიკოაგულანტების უეცარი შეწყვეტის დროს განვითარდა პროთრომბინის მაღალ დონეზე, ერთხელ კი, ანტიკოაგულანტებით მკურნალობის დაწყებიდან მე-14 დღეზე. ფილტვის ემბოლიური ინფარქტის განვითარებას ხელი შეუწყო ავადმყოფის ხანდაზმულობა (77 წ.) ასაკმა, რაც შეიძლება ახსნილ იქნეს ფიბროპლასტიკური პროცესების ნაკლები აქტივობით.

ჩვენი მასალის მიხედვით ანტიკოაგულანტებით მკურნალობა 9 წლის ბავშვისა, რომელსაც ორივე ქვემო კიდურის ღრმა ვენების სეპტიკური თრომბოფლებიტი ჰქონდა, მისი განკურნებით დამთავრდა. ასეთივე შედეგია მიღებული 10 ხანდაზმულ ავადმყოფზე; ამგვარად, ბავშვთა ან ძლიერ ხანდაზმული ასაკი არ წარმოადგენს ანტიკოაგულანტებით მკურნალობის წინააღმდეგ ჩვენებას.

ყველა ავადმყოფს ანტიკოაგულანტებით მკურნალობის შეწყვეტისთანავე პროფილაქტიკის მიზნით ენიშნებოდა ბუტადიონი ან სალიცილის მკაცვას პრეპარატი სუსტი ანტიკოაგულანტური და ანთების საწინააღმდეგო თვისებების გამო, რასაც კარგი შედეგი ჰქონდა.

თრომბოფლებიტის მკურნალობის დროს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით წოლით რეჟიმსა და სიმშვიდეს. ღრმა ვენების თრომბოფლებიტის შემთხვევაში კიდურის იმობილიზაციას ვახორციელებდით ბრაუნის არტაშანზე ან ბალიშზე მოთავსებით. ავადმყოფს თითების მოძრაობის უფლებას ვაძლევდით პირველი დღიდანვე, ხოლო აქტიურ მოძრაობებს სხვა სახსრებში კუნიშნავდით პროთრომბინის სამკურნალო დონის (30—40%) მიღწევისთანავე. აღნიშნულ რეჟიმთან დაკავშირებით რაიმე ცუდი შედეგი ჩვენს მასალაზე არ გვინახავს. პირიქით, კიდურის შეშუპების ნაადრევი გაქრობა და პროცესის შედარებით სწრაფი ჩაცხრომა იქნა აღნიშნული, რაც მთავარია, იგი დადებით გავლენას ახდენს ავადმყოფის ფსიქიკაზე და მას დროთაღმდეგად გაჯანსაღების რწმენას უნერგავს.

ზერელე ვენების მწვავე თრომბოფლებიტის დროს, ჩვენი კლინიკური დაკვირვებების დასაწყისში (10 შემთხვევა), მკაცრ წოლით რეჟიმსა და კიდურის იმობილიზაციას მივმართავდით (2—3 კვირის განმავლობაში); ანტიკოაგულანტებით მკურნალობის დანერგვის შემდეგ კი, წოლითი რეჟიმის დაცვას სავალდებულოდ ვთვლიდით მხოლოდ პირველი კვირის განმავლობაში და აქტიური მოძრაობების დაწყების უფლებას ავადმყოფს ვაძლევდით პროთრომბინის „სამკურნალო დონის“ მიღწევისთანავე. ზოგადი კლინიკური მოვლენების არარსებობისას კი (5 ავადმყოფი) ანტიკოაგულანტებით მკურნალობა თავისუფლად რეჟიმთან იყო შეხამებული. აღნიშნული 5 ავადმყოფი ისე განიკურნა, რომ შრომისუნარიანობის ფორტლის გახსნა საჭირო არ შეიქნა.

სათბური პროცედურები ღრმა ვენების თრომბოფლებიტის დროს ჩვენი არ გამოვიყენებია. პროცესის ზერელე ვენებში ლოკალიზაციისას კი სათბური კომპრესები ყველა შემთხვევაში ვიხმარეთ. ვიშნევსკის ბალზამური ემულსიის.

ნახევებს ღრმა ვენების თრომბოფლებიტის დროს მიზანშეწონილად ვთვლიდით მძიმე, სეპტიკური ფორმების არსებობისას (18 შემთხვევა). წარმატებით ვიყენებდით ანტიბიოტიკებს (82,9%-ში) ანტიკოაგულანტებთან ერთად. ამ დროს ანტიბიოტიკების შესაძლო კოაგულაციური ეფექტის არსებობა არაა საშიში; მათი მძლავრი ბაქტერიოსტატიკური მოქმედება კი ფასდაუდებელ თვისებას წარმოადგენს თრომბოფლებიტის მკურნალობაში.

მკვეთრად გამოხატული ზოგადი ანთებადი ნიშნების დროს ანტიკოაგულანტებთან ერთად, ვიყენებდით პუტალიონს (16 შემთხვევა), პრედნიზოლონს (5 შემთხვევა) და სხვადასხვა სიმპტომატიკურ საშუალებებს კარგი შედეგით.

თრომბოფლებიტის მკურნალობის დროს, მნიშვნელობას ვაძლევდით აგრეთვე, უცხიმო სუბკალორული დიეტისა და სითხეების დიდი რაოდენობით დანიშვნას. როგორც ლიტერატურული მონაცემებიდან ჩანს, ცხიმით მდიდარი საკვების მიღება იწვევს ანტიკოაგულანტური სისტემის გამოვარდნას და ფიბრინოლიზური სისტემის აქტივობის დათრგუნვას, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის თრომბოზული პროცესის აღმოცენებისათვის.

ღრმა ვენების თრომბოფლებიტის დროს ტკივილები მცირდებოდა ანტიკოაგულანტების ზეგავლენით მე-3—მე-4 დღეს. შეშუპებები კი თვალსაჩინოდ ცხრებოდა მე-7—მე-10 დღეს. სხეულის ტემპერატურა, შემთხვევათა უმრავლესობაში, პირველი ორი კვირის განმავლობაში ქვეითდებოდა. ღრმა ვენების მწვავე თრომბოფლებიტის დროს ავადმყოფთა 62,8% 3—4 კვირის ანტიკოაგულანტებით მკურნალობის შემდეგ გაჯანსაღდა და თრომბოფლებიტური პროცესი პირველ ანუ მწვავე სტადიაშივე დამთავრდა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ამ ჯგუფში ყველა ავადმყოფს ანტიკოაგულანტებით მკურნალობა დაავადების განვითარების პირველ დღეებშივე დაეწყო. დანარჩენი 13 ავადმყოფიდან ხუთი—მე-5 კვირაზე, ოთხი მე-2 თვეზე, სამი —მე-6 კვირაზე, ხოლო ერთი მე-3 თვეზე გაჯანსაღდა.

რაც შეეხება ანტიკოაგულანტებით მკურნალობის ხანგრძლივობას ღრმა ვენების თრომბოფლებიტის დროს, იგი გაუგრძელდა ერთი კვირიდან ერთ თვემდე—11 ავადმყოფს, 5-დან 6 კვირამდე—24-ს, 2-დან 3 თვემდე—8-ს, 4-დან 5 თვემდე—4-ს, 6-დან 7 თვემდე—3-ს, 1 წლამდე—2 ავადმყოფს. 24 ავადმყოფს ანტიკოაგულანტები ეძლეოდა გაწერილად 1—2 კვირის განმავლობაში თანდათანობით, კლებადი დოზებით. 2—3 თვე ავადმყოფთა ის კანტიგენტი მკურნალობდა, რომელთაც ჰქონდათ ემბოლიური გართულებანი ან მძიმე სეპტიკური მდგომარეობა. ანტიკოაგულანტებს გახანგრძლივებულად (4—5 თვიდან 1 წლამდე) ვაძლევდით 9 ავადმყოფს მკურნალობისა და პროფილაქტიკის მიზნით: 1. ანტიკოაგულანტებით მკურნალობის მოგვიანებით დაწყებისას, პროცესის ქვემწვავე სტადიაში გადასვლასთან დაკავშირებით, როცა მისი გამწვავების ერთგვარია სამიზრობა არსებობდა; 2. ე. წ. თრომბოემბოლიური ნტატუსის¹; 3. წარსულში მრავალი რეციდივის არსებობისა და 4. თრომბოზული პროცესებისადმი ოჯახური მიდრეკილების გამოძლევენების დროს.

ზეგრელე ვენების თრომბოფლებიტის დროს (23 შემთხვევა), ანტიკოაგულანტებით მკურნალობა 18 ავადმყოფზე 3—4 კვირით განისაზღვრებოდა, ოთხ შემთხვევაში—6 კვირით, ხოლო ერთ ავადმყოფზე (პროცესის ღრმა ვენებზე გადასვლის გამო) მკურნალობა 3 თვე გაგრძელდა. ტკივილები და ანთებადი მოვლენები პირველ კვირაში ქრებოდა.

(¹ თრომბოემბოლიური სტატუსი ვეწოდეთ ავადმყოფის ისეთ მდგომარეობას, როცა ორგანიზმის ერთ ადგილას არსებული თრომბოზული პროცესის ჩაცხრომამდე ადგილი აქვს ახალი კვრების ან ემბოლიური ინფარქტების განვითარებას.)

თითოეული ავადმყოფის ანტიკოაგულანტებით მკურნალობაზე საშუალოდ 26,7 საწოლდე დაიხარჯა, წურბელებით მკურნალობაზე კი—49,1 საწოლდე.

ჩვენი მასალის მიხედვით (88 ავადმყოფი) კონსერვატიული მკურნალობის კარგი შედეგი მიღებულია შემთხვევათა 87,5%-ში, დამაკმაყოფილებელი — 7,9%-ში, არადამაკმაყოფილებელი—3,5%-ში, ხოლო ლეტალობა აღინიშნა 1,1%-ში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ავადმყოფის სიკვდილის მიზეზად ოთხივე კიდურის ღრმა ვენების მშობიარობის შემდგომი სეპტიკური თრომბოფლებიტი უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ მასალაზე კარგი შედეგები ანტიკოაგულანტებით მკურნალობის დროულ და ინტენსიური გამოყენებით აიხსნება. ამ უკანასკნელზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ კარგი შედეგები წურბელებით ნამკურნალებ ავადმყოფებიდან მხოლოდ 58,3%-ში, ანტიკოაგულანტებით მკურნალობის შემდეგ კი — 92,1%-შია მიღებული.

მკურნალობის შედეგებზე გარკვეულ გავლენას ახდენს პროცესის ლოკალიზაცია. ღრმა ვენების თრომბოფლებიტის დროს კარგი შედეგები 85,4%-ში, დამაკმაყოფილებელი — 8,1%-ში, არადამაკმაყოფილებელი — 4,8%-ში, ლეტალობა — 1,6%-ში. ზერელე ვენების თრომბოფლებიტის კონსერვატიული მკურნალობის დროს კარგი შედეგი მიღებულია 92,3%-ში, დამაკმაყოფილებელი — 7,7%-ში.

დასკვნები

1. თრომბოფლებიტის მწვავე სტადიაში ანტიკოაგულანტური თერაპიის ნაადრევი დაწყება საგრძნობლად ამცირებს მკურნალობის ვადებს და უზრუნველყოფს ავადმყოფთა განკურნებას შემთხვევათა 92,1%-ში.

2. ავადმყოფთა საპასუხო რეაქცია ანტიკოაგულანტების დარტყმითი დოზების მიმართ მეტწილად პროთრომბინის საწყისი მაჩვენებლების პირდაპირპროპორციულია.

3. ღრმა ვენების სეპტიკური თრომბოფლებიტის დროს შარდის მხრივ არსებული ცვლილებები (ცილა, ერთეული ერთოციტები და ცილინდრები) ზოგადი ინტოქსიკაციის ადგილობრივ გამოვლინებას წარმოადგენს და ანტიკოაგულანტებით მკურნალობის წინააღმდეგჩვენებად არ ჩაითვლება.

4. მიკროჰემატურია განვითარებული პროთრომბინის შედარებით მაღალი (20%-ზე მეტი) მაჩვენებლის პირობებში არაა საშიში. ამ დროს ჰემოსტაზური საშუალებების დანიშვნა პროთრომბინის დონის მკვეთრ მომატებას იძლევა და თრომბოზული პროცესის გამწვავების საშიშროებას ქმნის.

5. ღრმა ვენების თრომბოფლებიტის მწვავე სტადიაში დაზიანებული კიდურის აქტიური მოძრაობა, პროთრომბინის საკურნალო დონის მიღებისთანავე უნდა დაიწყოს.

6. ანტიკოაგულანტებით მკურნალობასთან ერთად, მოსიარულე რეჟიმის დანიშვნა კანქვეშა ვენების თრომბოფლებიტის მწვავე სტადიაში მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ზოგადი ანთებადი მოვლენების არარსებობის დროს.

ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის
და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი



დ. თ. ჩაგანავა

კ ვOPოსუ კონსერვატივნიგო ლეჩენი პრი ოსტრომ ტრომბოფლემბიტე ვენ ნიჟნიხ კონეჩნოსთეი

რეზუმე

ვ სტატიე რაზირაგეტა 88 სლუჩაე კონსერვატივნიგო ლეჩენი ოსტრომ ტრომბოფლემბიტა ვენ ნიჟნიხ კონეჩნოსთეი; იზ ნიხ ვ 76 სლუჩაეხ პრევენდა ანტიკოაგულანტიანი თერაპია.

დანიე ავტორი სვიდეტელსტვუი ო ცელსოობრაზნოსტი ანტიკოაგულანტიანიგო ლეჩენი, ვ ოსობენოსტი ტრომბოფლემბიტოვ გლუბოკიხ ვენ. პრი ლეჩენი ჯე ტრომბოფლემბიტა ვარიკოზნიხ ვენ ავტორ დეტ პრეფერენცია ოპერატივნიგო ვმეშატელსტვუი. პო ნაშიხ დანიეხ, რანეე ანტიკოაგულანტიანიგო ლეჩენი ოსტრომ ტრომბოფლემბიტა დეტ ვიზდორენიე ვ 92,1% სლუჩაეხ.

ნა ოსოვანიი ნაბლუდენიეხ მი პრინილი კ ვივოდუ, ჭო ოთვითანი რეაქცია ბოლნიხ ნა უდარნიე დოზი ანტიკოაგულანტიოვ ვ ბოლშინოსტიე სლუჩაეხ პრეპოპორციონალნია ისოხოდნიმ პოკაზატელიმ პროტრომბინა.

მიკროგემატურია პრი პროტრომბინოვოვ პოკაზატელე 20% ნ ვიშე ნე ოპასანი ნე ნე რებრუეტ პრეენენიენიე გემოსტატიკესკიხ სრედსტვო.

აქტივნიე დვიჟენიეხ ვ სუსტაეხ ვ ოსტრომ სტადიი ტრომბოფლემბიტა გლუბოკიხ ვენ დოლნიე ნაზნაჩატელსა პრი სნიჟენიე პროტრომბინოვოვ პოკაზატელი დო ლეჩენიიგო ურენიე.

სვობოდნიი რეჟიმი ვ ოსტრომ სტადიი ტრომბოფლემბიტა ვარიკოზნიხ ვენ რეკომენდუეტა პრი ოტსუტსტვიე ობიჟნიხ ვოსპალენიელნიხ ელენიე.

შეგომუნიე ლიტერატურა—ციტიროვანიი ლიტერატურა

1. ნ. ლ. ბლუმენტალე. კ ლეჩენი ემბოლიკესკიხ პროცესოვ პიკვამი. ვესნიკ ხირურგიი, ტ. 43, 119 — 120, 1936, 3 — 10.
2. გ. პ. ზაიციევი. ტრომბოფლემბიტე. მედგიზ, 1947.
3. ბ. პ. კუშელევიკი. ოჩერკი ანტიკოაგულანტიანი თერაპიი. მედგიზ, 1958.
4. ფ. ი. სიდორინა. კ პათოგენეზუ ნ ლეჩენი ტრომბოფლემბიტოვ კონეჩნოსთეი. ავტორეფრატ, მ., 1962.
5. დ. გ. მამამთავრიშვილი. პათოგენეზი ნ ლეჩენი ბოლნიხ ოსტრომ ტრომბოფლემბიტოვ. ტრუდი იი კაფ. ხირ., ტ. I, 1957, 159 — 165.
6. ი. ა. ნოვიკოვი. პრეენენიე დიკუმარინა პრი ტრომბოფლემბიტაეხ ნ ფლემბოტრომბოზაეხ. კაზანსკიი მედიცინსკიი ჟურნალი, № 4, 1959, 20 — 26.
7. ე. ი. ჩაზოვი ნ გ. ვ. ანდრეენკო. პერვიი ოპიტი თერაპიი ტრომბოზა ოტეჩენსტვიე ნი ფიბრინოლიზინოვ. კარდიოლოგია, № 4, 1962, 59 — 64.
8. ი. პ. ტრინკლერი. მატერიალე პროიხოდენიე ტრომბოზოვ ვ ნიჟნიხ კონეჩნოსთეი, ვ ოსობენოსტი ვ ლევიმ. ვრახებნოე დელო, № 16 — 20, 1921, 233 — 237.
9. დ. პ. ბოროვსკაია, ს. დ. როვინსკაია. კ მეტოდიკე ოპრეენენიე პროტრომბინა კროვი. კლინიკესკაია მედიცინა, 26, 4, 1948, 88.

თ. რივაი

რევმატიზმი) დაავადებულ ბავშვთა გულის სისტოლის ფაზური ანალიზის შედეგები დაავადების სხვადასხვა პერიოდში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ბაკურაძემ 17-11-1964)

გულის მოქმედების ფუნქციური გამოკვლევა და მისი შეფასება, განსაკუთრებით კი მიოკარდიუმის შემკუმშვადი ფუნქციის ცვლილების შესწავლა, სპეციალისტთა დიდ ყურადღებას იქცევს. გულის კუნთის შემკუმშვადი უნარი წარმოადგენს გულის მოქმედების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. გულის კუნთის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლის დროს უპირატესობა ენიჭება გულის მოქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინების — სისტოლის ცალკეული ფაზების — შესწავლას. სისტოლის შემადგენელი ცალკეული თანმიმდევრული ნაწილებს — ფაზების — შესწავლა, მსხვილი სისხლის ძარღვებისა და გულის ღრუების კატეტერიზაციის მეთოდით აღრევე იყო ჩატარებული ცხოველებზე უიგერსის [1], ვ. კარპმანის [2] და სხვათა მიერ. ბლუმბერგერმა [3] კი გამოკვლევის ექსპერიმენტული მეთოდი გადაიტანა კლინიკაში და პოლიკარდიოგრაფიული ჩაწერის მეთოდით (ელექტროკარდიოგრამის, ფონოკარდიოგრამისა და სძილე არტერიის სფიგმოგრამის სინქრონული ჩაწერა) განსაზღვრა სისტოლის შემადგენელი ფაზები.

ამ ფაზების ხანგრძლივობა პოლიკარდიოგრაფიული მეთოდით მრავალმა მკვლევარმა შეისწავლა როგორც ჯანმრთელ, ისე გულსისხლძარღვთა სისტემის სხვადასხვა დაავადებით შეპყრობილ ზრდასრულ ადამიანებში და ბავშვებში. ავადმყოფ ბავშვებზე ეს მეთოდი პირველად ჰოკერტსმა [4] გამოიყენა და ამ გზით შეძლო განესაზღვრა გულის კუნთის ფუნქციური მდგომარეობა. მისი აზრით, ეს მეთოდი კარგ შესაძლებლობას გვაძლევს დავადებით სარქველოვანი დაზიანების ხარისხს.

გამოკვლევის პოლიკარდიოგრაფიული მეთოდი საშუალებას გვაძლევს გულის სისტოლის ცალკეული ფაზების შეფარდების განსაზღვრით ვიმსჯელოთ გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციურ მდგომარეობაზე, სახელდობრ გულის შემკუმშვად უნარზე.

ჩვენს ქვეყანაში პოლიკარდიოგრაფიულ მეთოდს როგორც რევმატიზმით დაავადებულ, ასევე ჯანმრთელ ბავშვებსა და ზრდასრულებზე წარმატებით იყენებენ. მ. ოსკოლკოვა [5], ა. პიმენოვი [6], ტ. კოზლოვი [7], ა. გალსტიანი [8], ნ. ტიურიანი [9], ო. კუნჭულია [9], ნ. კრიჟანოვსკი [10], ს. ფელდმანი [11], ალ. ლეშჩინსკი [12], მ. ილურიძე-სტურუა [13] და სხვები.

ჩვენ მიზნად დავისახეთ დავადებულ, რევმატიზმით დაავადებულ ბავშვებში გულის მარცხენა პარკუჭის სისტოლის ცალკეული ფაზების ხანგრძლივობათა ცვლილება დაავადების სხვადასხვა პერიოდში.

ტონი—ქ].

მეთოდთა

დაკვირვებაზე აყვანილ იქნა რევმატიზმით დაავადებული 50 ბავშვი (აქტიური ფაზა, პირველადი), რომლებიც ყურადღების ქვეშ გვყავდა ერთი-ორი წლის განმავლობაში. 50 ბავშვიდან 17 იყო ქალი და 33 ვაჟი; ასაკის მიხედვით: 5-დან 8 წლამდე — 16 ბავშვი, 9-დან 11 წლამდე — 16, 12-დან 14 წლამდე — 18 ბავშვი. სტაციონარში შემოსვლისას ავადმყოფებს უმეტეს შემთხვევაში აღენიშნებოდათ: სახსრების ტკივილი, შეშუპება, შეწითლება, მაჯა საშუალო ავსებისა და არითმული, გულის მარცხენა სახლვრის გადიდება, გულის ტონების მოყრუება. სისტოლური შუილი მწვერვალზე და ორკარიანი სარქველის საპროექციო არეში, მეორე ტონის აქცენტი ფილტვის არტერიაზე, სისხლში ლეიკოციტოზი და აჩქარებული ედრი. საერთო რაოდენობიდან 34 ბავშვი აყვანილ იქნა დაკვირვებაზე დაავადების დღიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ, ხოლო დანარჩენი — უფრო მოგვიანებით (ერთ თვემდე).

გულისსისტოლური დაზიანების მიხედვით ავადმყოფები დაყავით ორ ჯგუფად: I. რევმატიზმით დაავადებული ბავშვები, რომლებსაც არ განუვითარდათ მანკი (18 ავადმყოფი) და II. რევმოკარდიით დაავადებული ბავშვები, რომლებსაც განუვითარდათ მანკი (32 ავადმყოფი).

ავადმყოფ ბავშვთა პოლიკარდიოგრაფიული მეთოდით სისტოლის ფაზების შესწავლას ვაწარმოებდით დაავადების მსკლელობის სხვადასხვა პერიოდში: 1. სტაციონარში შემოსვლისას (1—2 დღე); 2. ავადმყოფის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებისას (დაახლოებით დაავადების ორი თვის შემდეგ); 3. აქტიური ფაზის ჩაცხრობის დაწყებისას (დაავადების 3 თვის შემდეგ); 4. არააქტიურ ფაზაში (დაკვირვებაზე აყვანის მომენტთან ყოველი სამ-სამი თვის შემდეგ).

საშუალოდ თითოეულ ავადმყოფზე გადაღებულია 10 პოლიკარდიოგრამა, რომელთა ჩაწერა წარმოებდა 6-არხიანი პოლიკარდიოგრაფზე (Cardiovar—VI). ქალაქის მოძრაობის სიჩქარე 50 მმ/სეკ. იწერებოდა გულის 8—10 ციკლი. მიღებული შედეგები დამუშავებულია ვარიაციული სტატისტიკის მიხედვით.


თითოეული ბავშვის პოლიკარდიოგრამის დამუშავებისას სისტოლის ფაზების ხანგრძლივობის გამოთვლას ვაწარმოებდით გულის 3—5 ციკლიდან და გამოგვეყავდა საშუალო მონაკეში. მრუდეების გაზომვის დროს ვიყენებდით გამადიდებელ ლუპას (იხ. სქემა).

მარცხენა პარკუჭის სისტოლის ცალკეული ფაზების გამოთვლას ვაწარმოებდით მასის მიერ სახეშეცვლილ ბლუმბერგერის [3] მეთოდით. სისტოლის ხანგრძლივობას ვსაზღვრავდით ელექტროკარდიოგრამის Q კბილიდან ფონოკარდიოგრამის II ტონის დასაწყისამდე (Q—II ტონი). დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობას ვანგარიშობდით ელექტროკარდიოგრამის Q კბილიდან საძილე არტერიის სფიგმოგრამის აღმავალი ტოტის დასაწყისამდე გავლილ პერიოდით, რასაც ვკალუბდით II ტონის დასაწყისიდან საძილე არტერიის სფიგმოგრამის დიკროტულ ჩანაქდევამდე (ინციზურა, გავლილ დროს I(Q—A) — (მეორე ტონი—j]).

დაძაბვის ფაზის ქვეფაზების გამოანგარიშებას ვაწარმოებდით შემდეგნაირად: ვარდაქმნის პერიოდს ვანგარიშობდით ელექტროკარდიოგრამის Q კბილიდან ფონოკარდიოგრამის I ტონის მაღალი ოსცილაციების დაწყებამდე განვლილ დროით (Q—I ტონი), ხოლო წნევის გაზრდის პერიოდს — დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობას მინუს ვარდაქმნის პერიოდის ხანგრძლივობა.

განდევნის ფაზის ხანგრძლივობას ვსაზღვრავდით საძილე არტერიის სფიგმოგრამის აღმავალი ტოტის დასაწყისიდან დიკროტულ ჩანაქდევამდე განვლილ დროით, ხოლო განდევნის ფაზის ქვეფაზებს: სწრაფი განდევნისა — სფიგმოგრამის აღმავალი ტოტის დასაწყისიდან მის დამთავრებამდე და ნელი განდევნისას სფიგმოგრამის აღმავალი ტოტის დამთავრებიდან დისკროტული ჩა-

ნაკლებამდე (ეს უკანასკნელი შეადგენს განდევნის ფაზისა და სწრაფი განდევნის ქვეფაზის სხვაობას). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მკვლევარი მაგ. ნ. ყიფშიძე, ი. ქუშმურიძე, დ. ტვილდიანი, ზ. დუმბაძე [14] განდევნის ფაზის ქვეფაზების გაანგარიშებას აწარმოებს რეოგრაფის ჩანაწერით წინა მხრიდან, რამდენადაც, მათი აზრით, სფიგმოგრაფის აღმავალი ტოტის ფორმაზე მოქმედებს მიმწოლის (датчик) სისხლძარღვზე დაჭერის ძალა.



სურ. 1

აღნიშნულის გარდა ვაწარმოებდით განდევნის და დაძაბვის ფაზების შეფარდებითი კოეფიციენტისა და ამ ფაზების სისტოლის შიდა მაჩვენებლების გამოთვლას პროცენტობით, გამოგვყავდა აგრეთვე ი. ბრონოვეცის [15] მიერ მიწოდებული წესით ჰემოდინამიკური ინდექსი (წნევის გაზრდის პერიოდის შეფარდება განდევნის ფაზასთან).

გამოკვლევების შედეგები და მათი განხილვა

ქვემოთ მოყვანილი მონაცემიდან ჩანს, თუ როგორ იცვლება სისტოლის ცალკეული ფაზების ხანგრძლივობა რევმატიზმით დაავადებულ ბავშვებში (იხ. ცხრილი).

დაავადების დასაწყისში დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობა, ნორმასთან შედარებით, კლებულობს გარდაქმნისა და წნევის გაზრდის პერიოდის ხარჯზე; სამაგიეროდ, განდევნის ფაზის ხანგრძლივობა მატულობს. მაღალია განდევნის ფაზის დაძაბვის ფაზასთან შეფარდების კოეფიციენტი, რაც მიუთითებს პარაკუტების სისტოლის კარგ მოცულობაზე. დაქვეითებულია დაძაბვის ფაზის სისტოლის შიგა მაჩვენებელი და ჰემოდინამიკური ინდექსი. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დაავადების დასაწყისში გულსისხლძარღვთა სისტემას კარგი კომპენსატორული უნარი აქვს შენარჩუნებული.

კლინიკური გაუმჯობესების დაწყების პერიოდში ავადმყოფებს, მიუხედავად აქტიური მკურნალობისა, აღნიშნებათ დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობის მა-



საკუთარი დაკვირვების შედეგები (საშუალო მნიშვნელობანი მილისეკუნდებით)

დავალების თვე	ავადმყოფთა რაოდენობა	გულის ტემპის სინზირე წუთში	გარდაქმნის პერიოდი	წნევის გაზრდის პერიოდი	დაძაბვის ფაზა	სწრაფი განდევნის პერიოდი	ნელი განდევნის პერიოდი	განდევნის ფაზა	შეფარდების კოეფიციენტი	დაძაბვის ფაზის სისტოლის შიგა მარეგნებული %	ჰემოდინამიკური ინდექსი
---------------	----------------------	----------------------------	--------------------	------------------------	---------------	--------------------------	------------------------	----------------	------------------------	--	------------------------

ჯანმრთელი ბავშვებისთვის
(მ. ილურიძე-სტურუას საშუალო მონაცემებით)

29	$\frac{83}{58-120}$	$\frac{46}{30-65}$	$\frac{29}{20-41}$	$\frac{75}{66-89}$	—	—	$\frac{26}{237-297}$	$\frac{3,5}{3,0-4,0}$	$\frac{22,2}{20-25}$	$\frac{0,109}{0,084-0,140}$
----	---------------------	--------------------	--------------------	--------------------	---	---	----------------------	-----------------------	----------------------	-----------------------------

რეგმოკარდიტით და ორკარიანი სარჭეელის დაზიანებით დაავადებული ბავშვებისათვის

I	32	$\frac{88}{62-126}$	$\frac{41}{30-58}$	$\frac{28}{18-36}$	$\frac{69}{56-90}$	$\frac{71}{58-90}$	$\frac{197}{146-218}$	$\frac{268}{240-315}$	$\frac{3,8}{3,0-4,7}$	$\frac{20,2}{18,24,8}$	$\frac{0,104}{0,081-0,143}$
II	32	$\frac{86}{57-120}$	$\frac{43}{32-60}$	$\frac{29}{20-38}$	$\frac{72}{60-86}$	$\frac{76}{62-90}$	$\frac{188}{152-220}$	$\frac{264}{240-300}$	$\frac{3,5}{3,1-4,3}$	$\frac{21}{18-25}$	$\frac{0,109}{0,079-0,130}$
III	32	$\frac{86}{63-109}$	$\frac{46}{38-60}$	$\frac{30}{20-33}$	$\frac{76}{69-90}$	$\frac{78}{52-100}$	$\frac{185}{164-218}$	$\frac{263}{224-296}$	$\frac{3,4}{2,8-4,2}$	$\frac{22}{19-26}$	$\frac{0,114}{0,081-0,123}$
VI	32	$\frac{86}{69-110}$	$\frac{47}{36-54}$	$\frac{30}{20-40}$	$\frac{77}{61-87}$	$\frac{79}{56-100}$	$\frac{186}{150-224}$	$\frac{265}{230-290}$	$\frac{3,4}{3,1-4,1}$	$\frac{22,5}{19-25}$	$\frac{0,114}{0,078-0,145}$
IX	32	$\frac{83}{67-107}$	$\frac{47}{38-60}$	$\frac{31}{24-38}$	$\frac{78}{61-90}$	$\frac{81}{52-100}$	$\frac{189}{168-228}$	$\frac{270}{254-297}$	$\frac{3,4}{3,1-4,1}$	$\frac{22,5}{19-25}$	$\frac{0,114}{0,084-0,135}$
XII	32	$\frac{78}{63-100}$	$\frac{49}{36-60}$	$\frac{31}{21-44}$	$\frac{80}{66-92}$	$\frac{83}{50-100}$	$\frac{189}{166-224}$	$\frac{272}{234-298}$	$\frac{3,3}{2,8-4,1}$	$\frac{22,5}{19-26}$	$\frac{0,113}{0,074-0,148}$

ცხრილის გაგრძელება

XV	26	$\frac{78}{63-106}$	$\frac{49}{32-66}$	$\frac{32}{21-43}$	$\frac{81}{60-104}$	$\frac{85}{56-122}$	$\frac{198}{174-230}$	$\frac{283}{256-317}$	$\frac{3,4}{2,8-4,2}$	$\frac{22,2}{17-26}$	$\frac{0,113}{0,072-0,153}$
XVIII	25	$\frac{73}{60-92}$	$\frac{50}{35-60}$	$\frac{32}{24-46}$	$\frac{82}{60-104}$	$\frac{86}{60-100}$	$\frac{198}{184-236}$	$\frac{284}{266-302}$	$\frac{3,4}{3,0-4,4}$	$\frac{22,2}{18-25}$	$\frac{0,112}{0,090-0,144}$

რეგმოკარდით დაავადებული ბავშვებისათვის

I	18	$\frac{87}{61-144}$	$\frac{42}{37-56}$	$\frac{27}{20-32}$	$\frac{69}{60-90}$	$\frac{71}{54-80}$	$\frac{199}{140-224}$	$\frac{269}{206-296}$	$\frac{3,9}{2,8-4,5}$	$\frac{20}{18-23}$	$\frac{0,100}{0,081-0,115}$
II	18	$\frac{86}{70-103}$	$\frac{42}{30-50}$	$\frac{29}{20-57}$	$\frac{71}{62-78}$	$\frac{75}{58-100}$	$\frac{190}{174-230}$	$\frac{265}{240-306}$	$\frac{3,7}{3,2-4,4}$	$\frac{21}{18-23}$	$\frac{0,109}{0,86-0,118}$
III	18	$\frac{86}{60-111}$	$\frac{43}{31-60}$	$\frac{31}{21-42}$	$\frac{74}{56-89}$	$\frac{79}{55-100}$	$\frac{184}{160-218}$	$\frac{263}{240-316}$	$\frac{3,5}{3,0-4,5}$	$\frac{21,5}{18-25}$	$\frac{0,117}{0,070-0,130}$
VI	18	$\frac{84}{62-105}$	$\frac{44}{30-54}$	$\frac{30}{20-33}$	$\frac{74}{52-80}$	$\frac{77}{53-99}$	$\frac{187}{170-214}$	$\frac{264}{225-320}$	$\frac{3,5}{3,1-4,5}$	$\frac{21,9}{17-24}$	$\frac{0,113}{0,071-0,120}$
IX	18	$\frac{83}{53-109}$	$\frac{45}{36-60}$	$\frac{30}{19-34}$	$\frac{75}{57-87}$	$\frac{75}{60-90}$	$\frac{190}{160-230}$	$\frac{265}{232-330}$	$\frac{3,5}{3,2-4,5}$	$\frac{22}{17-24}$	$\frac{0,113}{0,074-116}$
XII	18	$\frac{83}{57-107}$	$\frac{46}{32-64}$	$\frac{29}{20-40}$	$\frac{75}{62-92}$	$\frac{72}{50-90}$	$\frac{194}{161-230}$	$\frac{266}{240-318}$	$\frac{3,5}{2,8-4,5}$	$\frac{22}{18-26}$	$\frac{0,109}{0,073-0,144}$



ტება (ვიდრე სტაციონარში შემოსვლისას ჰქონდათ) როგორც გარდაქმნილი წიგნების გაზრდის პერიოდის ხარჯზე.

დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობის მომატება აიხსნება გულის კუნთის შემკუმშვადი ფუნქციის დაქვეითებით, ხოლო წიგნის გაზრდის ფაზის ხანგრძლივობაზე შესაძლოა მოქმედებდეს როგორც გულის კუნთის შემკუმშვადი ფუნქციის დაქვეითება, ისე მარცხენა პარკუჭის ავსების სიდიდე. გულის კუნთის შემკუმშვადი ფუნქციის დაქვეითებით შეიძლება ავსხნათ აგრეთვე განდევნის ფაზის ხანგრძლივობის დაქვეითება, სწრაფი განდევნის ფაზის ხანგრძლივობის მომატება და ნელი განდევნის ფაზის ხანგრძლივობის დაკლება. ამ პერიოდში განდევნისა და დაძაბვის ფაზათა შეფარდებითი კოეფიციენტი მცირდება. ჰემოდინამიკური ინდექსი მატულობს, ხოლო დაძაბვის ფაზის სისტოლის შიდაჩვენებელი დიდდება.

აქტიური პროცესის ჩაცხრომის დაწყების პერიოდში აღინიშნება დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობის კიდევ უფრო მომატება მისი ორივე ქვეფაზის გაზრდის ხარჯზე. ხოლო განდევნის ფაზის ხანგრძლივობა კლებულობს. ამავე დროს მატულობს სწრაფი განდევნის ფაზა და კლებულობს ნელი განდევნის ფაზა. განდევნისა და დაძაბვის ფაზების შეფარდებითი კოეფიციენტი კლებულობს და ნორმას უახლოვდება. კიდევ უფრო იზრდება ჰემოდინამიკური ინდექსი. დაძაბვის ფაზის სისტოლის შიდაჩვენებელი კვლავ იზრდება, რაც მიუთითებს გულის კუნთის შემკუმშვადი ფუნქციის კიდევ უფრო მეტ დარღვევაზე.

არააქტიურ ფაზაში ავადმყოფებზე დაკვირვება წარმოებდა ავადმყოფობის დაწყების დღიდან 6, 9, 12, 15, 18 თვის შემდეგ. ამ პერიოდში დაძაბვის ფაზა მომატებას განაგრძობს ძირითადად წიგნის გაზრდის პერიოდის ხარჯზე; ეს უკანასკნელი კი აიხსნება იმით, რომ განვითარებული გულის მანკის შედეგად სარქველები მჭიდროდ არ არიან დაზუსტნი, რის გამოც მარცხენა პარკუჭს ჰორდება მეტი დრო აორტაში არსებული დიასტოლური წიგნის გადასალახავად. მატულობს განდევნის ფაზის ხანგრძლივობაც. ამასთან იზრდება როგორც სწრაფი განდევნის ფაზის, ისე ნელი განდევნის ფაზის ხანგრძლივობა. განდევნისა და დაძაბვის ფაზების შეფარდებითი კოეფიციენტი ნორმაზე დაბალია. ჰემოდინამიკური ინდექსი კლებულობს. დაძაბვის ფაზის სისტოლის შიგა მაჩვენებელი ნორმის ფარგლებშია.

არააქტიურ ფაზაში მიღებული შედეგები შეიძლება ავსხნათ გულის მოქმედების შემავსებელი რეაქციით, რაც გამოიხატება გულის ჰიპერფუნქციაში, აგრეთვე, ნაწილობრივ ასაკობრივი ფაქტორით [8, 13]. რევმატიზმის შედეგად განვითარებული სარქველების ნაკლოვანება წარმოადგენს ფაქტორს გულის გაძლიერებული მოქმედებისათვის; გულის ჰიპერფუნქციით კი ხორციელდება სარქველების ნაკლოვანების კომპენსირება.

სისტოლის ფაზების ხანგრძლივობის ანალოზი ჩატარდა რევმოკარდიტით დაავადებულ იმ ბავშვებზედაც, რომელთაც არ განუვითარდათ გულის მანკი.

დაკვირვების შედეგად მივიღეთ, რომ რევმატიზმის აქტიურ ფაზაში იმ ბავშვებსაც აღინიშნებათ დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობის დაკლება (ნორმასთან შედარებით) როგორც გარდაქმნის. ისე წიგნის გაზრდის ქვეფაზების ხარჯზე. მაგრამ იგი უფრო მეტადაა გამოხატული წიგნის გაზრდის ქვეფაზაში. მომატებულია განდევნის ფაზის ხანგრძლივობა. ასევე მალალია განდევნის ფაზის დაძაბვის ფაზასთან ფარდობის კოეფიციენტი; ამ დროს დაქვეითებულია დაძაბვის ფაზის სისტოლის შიგა მაჩვენებელი და ჰემოდინამიკური ინდექსი.

უნდა აღინიშნოს, რომ რევმოკარდიტით დაავადებულ ბავშვებს, რომელთაც არ განუვითარდათ მანკი, მწვავე პერიოდში ისეთივე ცვლილებები ჰქონდათ, როგორც იმ ავადმყოფებს, რომლებმაც განუვითარდათ მანკი, სამაგიეროდ არააქტიურ ფაზაში (დაავადების დაწყებიდან 6, 9 და 12 თვეზე) მათ აღინიშნებო-

და როგორც მაჩვენებლის, ისე განდევნისა და დაძაბვის ფაზების; აგრეთვე სხვა ჰემოდინამიკური მაჩვენებლების ერთგვარი ნორმალიზაცია; ეს კი მიუთითებს მწვავე რევმოკარდიტის გადატანის შემდეგ გულის კუნთის შემკუმშვადი ფუნქციის გაუმჯობესებაზე.

სტაციონარიდან გაწერის შემდეგ დაკვირვებაზე მყოფ ბავშვებს არააქტიურ ფაზაში უტარდებოდათ სისტემური ანტირეციდივიული მკურნალობა, უმეტესობას ბალნეოთერაპია (წყალტუბოს აბაზანებით) და კლიმატოთერაპია (ზღვის სანაპიროზე) პედიატრიის ინსტიტუტის თანამშრომლების — პ. ყურაშვილის, თ. გარსევანიშვილის, ა. კვეციანიშვილისა და სხვათა მიერ შემუშავებული სქემით.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მკურნალობის ამ მეთოდმა მწვავე რევმოკარდიტის გადატანის შემდეგ ხელი შეუწყო ავადმყოფთა ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას და დადებითი ზეგავლენა იქონია გულის კუნთის შემკუმშვად ფუნქციაზე.

დაკვირვებაზე აყვანილი რევმოკარდიტით დაავადებულ 50 ბავშვში, ჩატარებული მკურნალობის შედეგად რეციდივი მივიღეთ: 1 წლის შემდეგ—4 შემთხვევაში (8%) და 2 წლის შემდეგ—2 შემთხვევაში (4%); ყველა შემთხვევაში აღინიშნა ორკარიანი სარქველის ნაკლოვანება.

დასკვნები

1. 5-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვთა რევმატიზმით დაავადების დასაწყისში გულის სისტოლის დაძაბვის ფაზის ხანგრძლივობა კლებულობს, ხოლო შემდგომში, გულის მანკის განვითარებასთან დაკავშირებით, იგი თანდათან იზრდება.
2. დაავადების დასაწყისში განდევნის ფაზის ხანგრძლივობა მომატებულია, ხოლო კლინიკურ გაუმჯობესებისა და აქტიური ფაზის ჩაცხრობის პერიოდებში იგი იკლებს; არააქტიურ ფაზაში კვლავ აღინიშნება მისი მომატება.
3. დაავადების დასაწყისში განდევნისა და დაძაბვის ფაზების შეფარდებითი კოეფიციენტი მაღალია; შემდეგ კი მას აქვს ტენდენცია შემცირებისაკენ. არააქტიურ ფაზაში შეფარდებითი კოეფიციენტი ნორმაზე დაბალია.
4. დაავადების დასაწყისში დაქვეითებულია დაძაბვის ფაზის სისტოლის შიდამაჩვენებელი და მომატებულია განდევნის ფაზის სისტოლის შიდამაჩვენებელი. შემდგომში იგი ნორმას უახლოვდება.
5. დაავადების დასაწყისში ჰემოდინამიკური ინდექსი შემცირებულია, შემდეგ აღინიშნება მისი მატება, ხოლო არააქტიურ ფაზაში აქვს ტენდენცია დაკლებისაკენ.

პედიატრიის საზღვნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 17.11.1964)

КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА

Т. Л. РЕВИЯ

ФАЗОВЫЙ АНАЛИЗ СИСТОЛЫ СЕРДЦА У ДЕТЕЙ, БОЛЬНЫХ РЕВМАТИЗМОМ В РАЗЛИЧНЫХ СТАДИЯХ ЗАБОЛЕВАНИЯ

Резюме

У 50 детей в возрасте от 5 до 14 лет, больных ревматизмом (активная фаза, первичный), была определена продолжительность отдельных

ფაზ სისტოლი სერძის ვა დავისმისი ოთ ტეჩენია ბოლენის. ოო სტენიი ოოვ-
 რეჟენია სერდენო-სოსუდისოი სისემია ბოლენი ბილი რაზბიტი ნა დვე
 გუნისი: ს რაზვიტმ ოოროკო სერძის ი ბეზ ოოროკო სერძის. ნაბლენიი
 ოოვოდილის ვ რაზნი სტადიახ ზაბოლენია ოოსრედსოვო ზაპისეი ოოლიკარ-
 დიოგრამი ოო მეთოუ ბლუმბერგერა, ნესოკოლო ვიდოიზმენენოუ მაასო.

რეზულტატი ისლედოვანიი ოოღვრეჟდაოთ, ოოო ისუენი ოოდოლი-
 ტენისოი ფაზ სერდენოი სისოლი, ვმესე ს დრუგისი მეთოდაი კლინი-
 ცისი ისლედოვანიი, დაოთ ოოღვრენიი ოო სოკრატისოი ფუნქცია სერდ-
 ნოი მიუსი უ ბოლენი რევმატიზოო (აქტივია ი ნეაქტივია ფაზა); ვმეს-
 ე ს თემ ოობლეგაეა ისუენი მეხანიზმი ნარუენიი გემოდინამიკი.

ღაოოწმებულნი ლიბრობტურა—ციტიროვანია ლიტერატურა

1. კ. უიგგერს. დინამიკა კროოობრაენიი. მ., 1957.
2. ვ. ლ. კარპმან. დინამიკა სერდენოი სოკრატენიი... კარდიოლოგია, № 5, 1961, 74—80.
3. კ. Blumberger. Klinische Wochenschrift, № 27, 1941, 680—685.
4. ტ. Hockerts. Z. Kinderheilk., Bd. 71, 1952, 216.
5. მ. კ. ოსოკოლოვა. ფუნქციონალია ოოენია სერდენოი დეაქტივია. პედიატრია,
 № 2, 1964, 68—70.
6. ა. ი. ოიენოვი. ანალიზ ოოდოლიტენისოი ფაზ სისოლი... ვოპროსი ოოხრანია
 მატერინსოთა ი დეტსოთა, № 4, 1964, 28—32.
7. ტ. ს. კოზლოვი. კლინიცისოი ზნაენია ანალიზა... თერაპევიცისოი არქივი, ტ. XXXV,
 ვუპ. 5, 1963, 71—73.
8. ა. ა. გალსოთია. ფაზოვი ანალიზ სისოლი... პედიატრია, № 7, 1962, 49—54; № 2,
 1964, 65—67.
9. ნ. ა. ტიური ი ო. ვ. კუნოულია. მატერ. ვსესოიუნი. ნაუენი. კონფერ. თერაპევოთ,
 1963, 81—82.
10. ნ. ა. კრეჟანოვსკიი. მატერ. ვსესოიუნი. ნაუენი. კონფერ. თერაპევოთ, 1963, 81—82.
11. ს. ბ. ფელდმანი. ზნაენია ოოდოლიტენისოი ფაზ სისოლი... კლინიცისოი
 მედიცინა, № 12, 1960, 60—64.
12. ლ. ა. ლეცინსკიი. ოო კლინიცისოი ზნაენია ოოღვრენია დეაქტივია... კლინი-
 ცისოი მედიცინა, № 12, 1960, 65—72.
13. მ. ილოურნიძე-სტურუა. სისოლიის ფაზების ზანგროდოლოგია... საქ. მეცნ. აკად. შოაბ-
 ბი, XXVIII; 3, 1964, 729—736.
14. ნ. ნ. კიპშიძე, ი. ტ. ჭუმბურიძე, დ. დ. ტვილიანი, ჰ. გ. დუმბა-
 ძე. ვ კნ.: „აქტუალენი ვოპროსი სერდენო-სოსუდისოი ოოლოგიაი“, 1963, 215—221.
15. ი. ნ. ბრონოვიევი. ოოკაზატელი ფუნქციონალენი სოსოთენია... კარდიოლოგია, № 6,
 1963, 15—20; № 3, 1964, 32—36.

ა. ჯაფარიძე

ტიმამრატურის სხვაობაზე ფიქსირებული ბანჟობის
თავისებურებათა შესახებ

(წარმოდგინა აკადემიკოსმა შ. ნუტუბიძემ 8.1.1965)

როგორც ცნობილია, ფიქსირებული განწყობის ეფექტი დადგენილი და შესწავლილია ჰაბტურ, ოპტიკურ, აკუსტიკურ, წნეხვის, ძალის, წონის მოძალობათა სფეროში.

პრინციპულად არ უნდა იყოს გამორიცხული ფიქსირებული განწყობის შექმნის შესაძლებლობა სხვა მოძალობაშიც. სახელდობრ, თერმული რეცეპტორების მონაწილეობით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თერმული შეგრძნების მოძალობაში ფიქსირებული განწყობის კვლევას სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა.

შექმნილი განწყობის რეალიზაციის რაგვარობა რამდენადმე დამოკიდებულია იმ მოძალობაზე, რომლის მონაწილეობითაც ვანხორციელებთ განწყობის შემუშავებას. მაშასადამე, საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რა თავისებურებებით ხასიათდება თერმულ რეცეპტორებზე ზემოქმედებით ფიქსირებული განწყობა, როგორ მიმდინარეობს მისი ფიქსაცია და ჩაქრობა, ახასიათებს თუ არა მას ჩვენთვის ცნობილი კანონზომიერებებიან განსხვავებული თავისებურებანი. შეიძლება აქ იმის მითითებაც იყოს საჭირო, რომ განწყობის ფიქსაციისათვის გამოყენებულია ისეთი ინდიკატორი, როგორიცაა სისხლის ძარღვების ვაფართოება და შეკუმშვა, რომელიც, შეიძლება ითქვას, სრულიად არაა დამოკიდებული პიროვნების ნება-სურვილზე.

ეს ჩვენი გამოკვლევა არის სწორედ პირველი ცდა, ჩვენთვის საინტერესო საკითხების კვლევის დასაწყისი ეტაპი. რომელიც, როგორც ამას ჩვენი მსჯელობიდან დავინახავთ, ღირსია იმისა, რომ ხანგრძლივი კვლევის ამოცანად დავისახოთ.

მ ე თ ო დ ი

საგანწყობო ცდებში გამოყენებული მასალა წარმოდგენს ორ სრულიად ერთნაირი ზომისა და ფორმის ჯამისმაგვარ ჭურჭელს, რომელთაგან ერთში მოთავსებულია ცხელი წყალი (ტემპერატურა = 40°-სს), ხოლო მეორე ჭურჭელში — ცივი წყალი (ტემპერატურა 15°).

ცდის პირს ევალევა ერთმანეთს შეადაროს ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული წყლის ტემპერატურა ორივე ხელის წყლიან ჭურჭელში ჩაყოფის გზით. ეს ცდა მეორდება 15-ჯერ და ამით მთავრდება განწყობის ფიქსაცია.

ამის შემდეგ, იმის ნათელსაყოფად — განხორციელება თუ არა განწყობის ფიქსაცია, მიემართავთ კრიტიკულ ცდებს. ახლა ცდის პირი ხელებს ჰყოფს ორ, სრულიად ერთნაირი ფორმისა და ზომის ჭურჭელში; ორივეში მოთავსებულია ერთნაირი ტემპერატურის წყალი 15°, რომელიც მან უნდა შეადაროს ერთმანეთს.

თუ აღმოჩნდება, რომ ცდის პირმა ვერ მოახერხა ტემპერატურის აღდგენა, ალკმა და ილუზორულმა ალქმამ ისეთივე მიმდინარეობა შეიძინა. როგორც ჩვენთვის განწყობის ილუზიების შესწავლიდანაა ცნობილი. ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ განხორციელებულა განწყობის ფიქსაცია. ასეთია ცდის პირველი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც 20 ცდის პირი გვყავს შესწავლილი. აქედან 10 ცდის პირს საგანწყობო ცდებში ერთმანეთთან შესადარებლად ცხელი წყალი ეძლეოდათ მარცხნივ, ხოლო ცივი წყალი — მარჯვნივ; დანარჩენ 10 ცდის პირს კი, პირიქით: საგანწყობო ცდებში ცხელი წყალი ეძლეოდათ მარჯვნივ, ხოლო ცივი წყალი — მარცხნივ.

ჩვენი ექსპერიმენტის მეორე ვარიანტში ცდის პირებს შესადარებლად ეძლევათ ორი ერთნაირი სიდიდის კოლბებში მოთავსებული წყალი. ამ კოლბებს ცდის პირი ერთდროულად შემოავლებს თითებს, ადარებს მათ ტემპერატურას ერთმანეთს და გვეუბნება, რომელ ხელში აქვს ცხელი კოლბა. ამ ცდის 15-ჯერ განმეორებით მთავრდება განწყობის ფიქსაცია და იწყება კრიტიკული ცდა. კრიტიკულ ცდაში ცდის პირი ორივე ხელს გარშემო ავლებს ორივე კოლბას (თითოეულ მათგანში 15°-იანი წყალია მოთავსებული) და მათი ტემპერატურის მარჯვნივ, ხოლო ცივი წყალი — მარცხნივ.

ცდის მეორე ვარიანტით, მსგავსად ცდის პირველი ვარიანტისა, შესწავლილი გვყავს 20 ცდის პირი. ამ შემთხვევაშიც მთავან მხოლოდ 10-ს ეძლეოდა საგანწყობო ცდებში ერთმანეთთან შესადარებლად ცხელი წყალი მარცხნივ; ცივი — მარჯვნივ. დანარჩენ 10 ცდის პირს კი საგანწყობო ცდებში ცხელი წყალი ეძლეოდათ მარჯვნივ, ხოლო ცივი წყალი — მარცხნივ.

ცდის ორივე ვარიანტით სულ შესწავლილი გვყავს 40 ცდის პირი, რომელთა უმრავლესობისათვის უცნობი იყო განწყობის ექსპერიმენტი. ექსპერიმენტში მონაწილეობას ღებულობდნენ ცდის პირები 17 წლიდან 65 წლის ასაკამდე როგორც ქალები, ისე მამაკაცები, საშუალო და უმაღლესი განათლებით.

ექსპერიმენტული მასალა

პირველ რიგში განვიხილოთ ცხრილის პირველი ვარიანტით მიღებული შედეგები.

ცხრილი 1

ცდის პირთა საერთო რაოდენ.	კონტრასტუ- ლი ილუზია (+)	ასიმილაციუ- რი ილუზია (-)	ტოლობა (=)
20	225	58	58
%	66%	17	17%

1. ცხრილის მონაცემებით შეიძლება დავასკვნათ, რომ განსხვავებული ტემპერატურის შედარებით შესაძლებელია განწყობის ფიქსაცია. ამის დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს კონტრასტული ილუზიების სიუხვე. რაც საერთოდ ცნობილია ჩვენთვის ოდენობაზე შემუშავებული განწყობის მოქმედებიდან. ამგვარად, კონტრასტული და ასიმილაციური ილუზიების რაოდენობა 83%-ს აღწევს; აქედან კონტრასტული ილუზია 66%-ს შეადგენს, ხოლო ასიმილაციური ილუზია — 17%-ს. ადექვატური ალქმის შემთხვევა იმის მაჩვენებელი კი არ არის, რომ განწყობა არ შემუშავებულა, არამედ იგი მაჩვენებელია ცდის მიმდინარეობაში წარმოშობილი ტოლობის განცდისა.

ზემოაღნიშნულას საილუსტრაციოდ ცალკეულად განვიხილოთ იმ კლის შედეგები, რომელიც მივიღეთ ცხელ წყალში მარჯვენა და მარცხენა ხელის ჩაყოფით.

ცხრილი 2

ცდის პირთა საერთო რაოდენ.	კონტრასტუ- ლი ილუზია (+)	ასიმილაციუ- რი ილუზია (-)	ტოლობა (=)
10	117	39	28
%	63%	22%	15%

მე-2 ცხრილი მიუთითებს იმ შედეგებზე, რაც მივიღეთ იმ ცდის პირთან, რომელიც საგანწყობო ცდაში მარცხენა ხელს ჰყოფდნენ ცხელი წყლით სავსე ჭურჭელში, ხოლო მარჯვენას — ცივი წყლით სავსე ჭურჭელში.

ამ შემთხვევაში მიღებულია 63% კონტრასტული ილუზია, ხოლო 22% — ასიმილაციური ილუზია. რაც შეეხება ცდას, როცა ცდის პირი საგანწყობო ცდაში მარჯვენა ხელს ჰყოფდა ცხელ წყალში, ხოლო მარცხენას — ცივ წყალში, ამის შედეგები მე-3 ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 3

ცდის პირ- თა საერთო რაოდენ.	კონტრასტუ- ლი ილუზია (+)	ასიმილაცი- ური ილუზია (-)	ტოლობა (=)
10	108	19	30
%	69%	12%	19%

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, ამ ცდის შედეგები თითქმის იმავე სურათს იძლევა, რაც ზემოაღნიშნული მე-2 ცხრილი. ამ შემთხვევაში კონტრასტული ილუზიების რაოდენობა 69%-ითაა წარმოდგენილი, ხოლო ასიმილაციური ილუზია — 12%-ით.

ასლა გადავიდეთ მეორე ვარიანტით ჩატარებული ცდის შედეგების განხილვაზე. ცდის ამ ვარიანტში ცდის პირი ღებულობდა კოლბებში ჩასხმულ წყალს ერთდროულად ორივე ხელში (ერთ ხელში ცხელს, მეორე ხელში ცივს). ცდა ჩატარებულია 20 ცდის პირზე. ამ ცდის შეჯამებული მონაცემები მოგვყავს მე-4 ცხრილში.

როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, კონტრასტული და ასიმილაციური ილუზიების რიცხვი აღწევს 77%-ს; აქედან კონტრასტული ილუზია შეადგენს 48%-ს, ხოლო ასიმილაციური ილუზია — 29%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებითი განსხვავება პირველი და მეორე ვარიანტით ჩატარებული ცდების შედეგებს შორის ჩვენ არ მიგვიღია. ორივე შემთხვევაში კონტრასტული ილუზიების რიცხვი ჰარბობს ასიმილაციური ილუზიების რიცხვს.

მაგრამ არ შეიძლება, არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ცდის მეორე ვარიანტში ცოტაოდენმა ცვლილებებმაც იჩინეს თავი. თუ, მაგ., 1 ცხრილს (სადაც მოცემულია ის შედეგები, როცა ცდის პირები ხელს ჰყოფდნენ უშუალოდ ჭურ-



შეკლში) და მე-4 ცხრილს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ პირველ შემთხვევაში კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე მეორე შემთხვევაში (ე. ი. როცა წყლის ტემპერატურას ადარებდნენ ცდის პირება კოლბაზე ხელის ზემოდან შემოვლებით); ასიმილაციურ ილუზიათა რიცხვი კი ჭარბობს პირველს, სახელდობრ, 1 ცხრილში კონტრასტული ილუზიების რიცხვი 66%-თაა წარმოდგენილი, ასიმილაციურ ილუზიათა რიცხვი 17%-ით; მე-4 ცხრილში კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი წარმოდგენილია 48%-ით, ასიმილაციური ილუზიების რიცხვი კი — 29%-ით.

ცხრილი 4

ცდის პირთა საერთო რაოდენ.	კონტრასტ. ილუზია (+)	ასიმილაც. ილუზია (-)	ტოლობა (=)
20	172	103	81
%	48%	29%	23%

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ცალცალკე იმ ცდის შედეგები, რომელიც მიღებულია ცხელწყლიან კოლბაზე მარცხენა და მარჯვენა ხელის შემოვლებით.

ცხრილი 5

ცდის პირთა საერთო რაოდენობა	კონტრასტ. ილუზია (+)	ასიმილაც. ილუზია (-)	ტოლობა (=)
10	82	29	40
%	54%	19%	27%

როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, აქაც კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი საგრძნობლად ჭარბობს ასიმილაციურს, თუმცა, თუ მას მე-2 ცხრილს შევადარებთ, დავინახავთ, რომ კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი ასე თუ ისე მანძი შემცირდა.

როცა ცხელი კოლბა ცდის პირს მარჯვენა ხელში მივაწოდეთ, ამან ცოტათ თუ ბევრად შესამჩნევი ცვლილება შეიტანა კონტრასტულ და ასიმილაციურ ილუზიათა მიმდინარეობაში.

ცხრილი 6

ცდის პირთა საერთო რაოდენ.	კონტრასტ. ილუზია (+)	ასიმილაც. ილუზია (-)	ტოლობა (=)
10	90	74	41
%	44%	36%	20%

როგორც მე-6 ცხრილიდან ჩანს, კონტრასტული ილუზიების რაოდენობა ამ შემთხვევაშიც შემცირდა მე-3 ცხრილის მონაცემებთან შედარებით. იგი 44%-

ითაა წარმოდგენილი; სამაგიეროდ გაიზარდა ასიმილაციის შემთხვევები. აქ მან 36%-ს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ ცდის პირობები ორივე შემთხვევაში უცვლელად არის დაცული (ეს ისეთი შედეგებია, რომელიც სხვა მკვლევართა ცდებიდანაც ცნობილია).

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული შეჯამებული მასალების განხილვას.

ცხრილი 7

ცდის პირების რაოდ.	კონტრასტ. ილუზია (+)	ასიმილაც. ილუზია (-)	ტოლობა (=)
40	397	161	139
%	57 %	23 %	20 %

როგორც მე-7 ცხრილიდან ჩანს, 40 ცდის პირზე ჩვენს მიერ დაყენებული იყო 697 ცდა; აქედან განწყობის ილუზიის ორივე სახეობა 80%-ითაა წარმოდგენილი: კონტრასტულ ილუზიათა რიცხვი შეადგენს 57%-ს, ხოლო ასიმილაციურ ილუზიათა რიცხვი 23%-ს. ეს საკმაოდ მტკიცე საბუთია, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ განსხვავებული ტემპერატურის ზემოქმედებით შესაძლებელია განწყობის ფიქსაცია. იგი ზოგადად იმავე თავისებურებებით ხასიათდება, რაც საერთოდ აღქმის სხვა მოდალობათა მიხედვით შემუშავებული განწყობის მოქმედებიდან არის ჩვენთვის ცნობილი.

ჩვენი ფაქტები რეალურ საფუძველზე აყენებენ ადაპტაციისა და განწყობის ურთიერთობას, რაც შემდგომი კვლევის ამოცანად გვაქვს დასახული.

დასკვნები

1. განსხვავებული ტემპერატურის ზემოქმედებით შესაძლებელია განწყობის ფიქსაცია;
2. განწყობის ფიქსაციის განხორციელება ჩვენი ცდების მიხედვით შესაძლებელი აღმოჩნდა 100%-ის ფარგლებში;
3. განსხვავებული ტემპერატურის ზემოქმედებით ფიქსირებული განწყობა დაახლოებით იმავე თავისებურებით ხასიათდება, რაც ჩვენთვის ოპტიკური და ჰაბტური რეცეპტორების მონაწილეობით ფიქსირებული განწყობის მოქმედებიდან არის ცნობილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

დ. უზნაძის სახელობის

ფსიქოლოგიის ინსტიტუტი



М. А. ДЖАПАРИДЗЕ

ОСОБЕННОСТИ ФИКСИРОВАННОЙ УСТАНОВКИ,
ВЫРАБОТАННОЙ НА РАЗЛИЧИЕ ТЕМПЕРАТУРЫ

Резюме

Воздействием различных температур можно вызвать фиксацию установки.

Согласно нашим опытам, фиксация установки этим методом осуществляется в пределах 100%.

Установка, фиксированная под воздействием различных температур, характеризуется приблизительно теми же особенностями, какие нам известны из действия установки, фиксированной при участии тактичного и оптического рецепторов.

მთ. რედაქტორი—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი რ. დვალი

Г л. редактор—академик Академии наук Грузинской ССР
Р. Р. Двали

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.3.1965; შეგვ. № 244; ანაწყობის ზომა 7×11;
ჭაღალდის ზომა 70×108; საადრიცხო-საგამომც. ფურცლების რაოდენობა 18,0,
ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა 16,0; უე 02057; ტირაჟი 1400

Подписано к печати 20.3.1965; зак. № 244; размер набора 7×11; размер
бумаги 70×108; количество уч.-изд. листов 18,0; количество печатных
листов 16,0; УЭ 02057; тираж 1400

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе № 3/5

მათემატიკა — МАТЕМАТИКА — MATHEMATICS

С. А. Мchedlishvili. Об одной теореме Д. Ф. Егорова	3
*ს. მჭედლიშვილი. დ. ეგოროვის თეორემის შესახებ	6
С. Б. Топурия. Суммирование двойных рядов Фурье—Лебега	7
*ს. თოფურია. ფურიე—ლებეგის ორმაგი მჭკრივების შეჯამებადობა	12
Д. Г. Гордезиани. Об использовании ромбических сеток для решения уравнения теплопроводности	15
*დ. გორდეზიანი. რომბული ბადეების გამოყენების შესახებ სითბოგამტარებლობის განტოლების ამოსახსნელად	22
Л. Д. Мdzinarishvili. О различных группах гомологии пространства, основанных на бесконечных покрытиях	23
*ლ. მძინარიშვილი. უსასრულო დაფარვებზე აგებული სივრცის ჰომოლოგიის სხვადასხვა ჯგუფის შესახებ	30

ფიზიკა — ФИЗИКА — PHYSICS

О. И. Мгебриян. Скорость дрейфа дислокаций при отжиге	31
*ო. მღებრიანი. დისლოკაციების დრეიფის სიჩქარე გამოწვისას	35
ვ. ჩუცკოვი. ზოგიერთი კანონზომიერება იზოტოპურ ეფექტში	37
*В. М. Чуцков. Некоторые закономерности в изотопическом эффекте	43
Р. Н. Салия. Обобщенные преобразования Лоренца	45
*რ. სალია. ლორენცის განზოგადებული გარდაქმნები. რელატივისტური თავისუფალი ვარდნის კინემატიკა	52
Ш. М. Мирианашвили, Д. И. Нанобашвили, З. Г. Размадзе. Облучение антимонида индия γ-лучами	53
*შ. მირიანაშვილი, დ. ი. ნანობაშვილი, ზ. რაზმაძე. ინდიუმის ანტიმონიდის გასხივება γ-სხივებით	58

ბიოფიზიკა — ГЕОФИЗИКА — GEOPHYSICS

Г. Д. Манагадзе. Об интерпретации аномалии силы тяжести над вертикальным уступом	59
*გ. მანაგაძე. ვერტიკალური საფეხურის თავზე სიმძიმის ძალის ანომალიის ინტერპრეტაციის შესახებ	62

ბიძია — ХИМИЯ — CHEMISTRY

Г. В. Цицишвили (академик АН ГССР), Т. Г. Андроникашвили, Т. А. Чумбуридзе. О газохроматографических свойствах барийсодержащих цеолитов типа X	63
*გ. ციციშვილი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), თ. ანდრონიკაშვილი, თ. ჭუმბურიძე. X ტიპის ბარიუმშემცველი ცეოლიტების გაზ-ქრომატოგრაფიული თვისებების შესახებ	67
Н. В. Мзареулишвили, М. Я. Гиоргобiani, Е. Г. Давиташвили. К вопросу изучения механизма образования гидроксидов лантана и церия	69

* ვარსკვლავით აღნიშნული სათაური ეკუთვნის წინა წერილის რეზიუმეს ან თარგმანს.

* Заглавие, отмеченное звездочкой, относится к резюме или к переводу предшествующей статьи.

* A title marked with an asterisk applies to a summary or translation of the preceding article.



*ნ. მხარეულიშვილი, მ. გიორგობიანი, ე. დავითაშვილი. ლანთანის
და ცეროუმის ჰიდროფენების წარმოქმნის მექანიზმის საკითხისათვის 75

X. И. Арешидзе (член-корреспондент АН ГССР), А. В. Киквидзе. Тер-
мическое разложение н. тетрадекана 77

*ქრ. არეშიძე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი),
ა. კიკვიძე. ნ. ტეტრადეკანის თერმული დაშლა 82

ბიოქიმია—БИОХИМИЯ—BIOCHEMISTRY

T. Г. Саакашвили. К вопросу о роли некоторых микроэлементов в раз-
витии так называемой гипертрофии предстательной железы 85

*თ. სააკაშვილი. მიკროელემენტების მნიშვნელობისათვის წინამდებარე ჯირკვ-
ლის ეკრეთოლოგიური ჰიპერტროფიის განვითარებაში 89

К. И. Канделаки. Функциональное состояние печени в белковом обмене
при анемии брайтиков 91

*ჭ. კანდელაკი. ლვიძლის ფუნქციური მდგომარეობა ცილოვან ცვლაში ბრაიტის
ანემიის დროს 95

ჰიდროლოგია—ГИДРОЛОГИЯ—HYDROLOGY

T. И. Габричидзе. Питание рек Южно-Грузинского вулканического на-
горья 97

*თ. გაბრიჩიძე. სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგნის მდინარეთა საზრ-
დობა 101

გეოლოგია—ГЕОЛОГИЯ—GEOLOGY

Е. К. Вахания. О тектонической взаимосвязи Центрально-Мегрельской и
Лечхумской депрессий 103

*ე. ვახანია. ცენტრალური სამეგრელოსა და ლეჩხუმის დეპრესიების ურთიერთ ტექ-
ტონიკური კავშირის შესახებ 109

Ю. И. Назаров. Реликтовая слоистость в юрских сланцах Лагодехско-Бело-
канской зоны 111

*ი. ნაზაროვი. რელიქტური შრეობრივობა ლაგოდეზ-ბელაქნის იურულ ფიქ-
ლებში 115

პეტროგრაფია—ПЕТРОГРАФИЯ—PETROGRAPHY

გ. ძოწენიძე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), ნ. სხირ-
ტლაძე, ვ. ქოიავა. ზოგიერთი ახალი მონაცემი მდ. ტუბეთის აუზის (აჭარა)
ეოცენის ვულკანოგენური წყების პეტროგრაფიის შესახებ 117

*Г. С. Дзодендзе (академик АН Грузинской ССР), Н. И. Схиртладзе,
В. С. Коява. Некоторые новые данные о петрографии эоценовой вул-
каногенной свиты бассейна р.Тбети (Аджария) 123

დ. ქელიძე საქართველოს თოვლების გენეზისის საკითხისათვის 125

*Д. Г. Челидзе. К вопросу генезиса опок 131

პალეობიოლოგია—ПАЛЕОБИОЛОГИЯ—PALAEOBIOLOGY

Л. В. Мухелишвили. К вопросу о систематическом положении и эколо-
гических особенностях некоторых сарматских кардинд 133

*ლ. მუხელიშვილი. ზოგიერთი სარმატული კარდიუმის სისტემატიკისა და ეკო-
ლოგიური თავისებურების საკითხისათვის 138

**საშენობლო მექანიკა—СТРОИТЕЛЬНАЯ МЕХАНИКА—
STRUCTURAL MECHANICS**

გ. მსხილაძე. სქელი ფილის კონტაქტური ამოცანა 139

*Г. Г. Мсхиладзе. Контактная задача толстой плиты 145



А. Д. Надирадзе. Несущая способность бетона при повторных нагрузках 147

*ა. ნადირაძე. ბეტონის გამზიდი თვისებები განმეორებითი დატვირთვის დროს 152
 З. Г. Агабекова. Исследование выносливости керамзитожелезобетона при
 воздействии многократно повторной нагрузки 135
 *ზ. აგაბეკოვა. კერამზიტბეტონის გამძლეობის გამოკვლევა მრავალჯერ განმეორებითი დატვირთვის დროს 160

ბიომეხანიკა და ავტომატიკა—ТЕЛЕМЕХАНИКА И АВТОМАТИКА—
 TELEMCHANICS AND AUTOMATICS

Н. Д. Нанобашвили. Разветвленный магнитопровод для построения логических многополюсников 161
 *ნ. ნანობაშვილი. მრავალპოლუსური ლოგიკური სქემების აგება განტოტვილ მაგნიტოგამტარზე 168

მეცენარეობა — РАСТЕНИЕВОДСТВО—PLANT-GROWING

Г. А. Морозова. Цветение и плодоношение бамбуков 169
 *გ. მოროზოვა. ბამბუკების ყვავილობა და ნაყოფმსხმოიარობა 173

ბოტანიკა—БОТАНИКА—BOTANY

მ. ბადრიძე. საქართველოს მიკოფლორისათვის დღემდე უცნობი სახეობები 175
 *მ. ა. ბადრიძე. Неизвестные виды микофлоры Грузии 182

ენტომოლოგია—ЭНТОМОЛОГИЯ—ENTOMOLOGY

М. Г. Гуджабидзе. Новый вид... из Грузии 183
 *მ. გუჯაბიძე. სარკოფაგიდების ახალი სახეობა... საქართველოდან 185

პარაზიტოლოგია —ПАЗАЗИТОЛОГИЯ—PARASITOLOGY

გ. კაკულია, ც. დევდარიანი. ნემატოდის ახალი სახეობა... 187
 *გ. ა. Какулия, Ц. Г. Девдариани. Новый вид нематоды... 190

ზოოლოგია—ЗООЛОГИЯ—ZOOLOGY

ბ. კანკავა. საზოგადოებრივი მემინდვრისა გონადების განვითარება ადრეულ ემბრიოლოგენეზში 193

*В. Л. Канкава. Развитие гонад общественной полевки в раннем эмбриогенезе 195

ანატომია—АНАТОМИЯ—ANATOMY

გ. ზუბადალაშვილი. კუჭისა და მღვივი ნაწლავის ტრანსპლანტატის ლორწოვანი გარსის სტრუქტურული ცვლილებების საკითხისათვის გასტროენთეროლოგიის შემდეგ 197

*Г. П. Зубадалашвили. О структурных изменениях слизистой оболочки желудка и тощекишечного трансплантата после гастроэюнопластики 204

ი. ცხომიძე. რეგრესული ცვლილებები და მათი პათოგენეზური შესაძლებლობები აჭარის ენდემური ჩიყვის ჰისტოსტრუქტურებში 205

*Ю. Т. Цхоидзе. Патогенетические возможности регрессивных изменений в гистоструктурах аджарского эндемического зоба 208

ფიზიოლოგია—ФИЗИОЛОГИЯ—PHYSIOLOGY

Н. Н. Парцхаладзе. Респирационный аппарат для эмбрионов птиц с простым приспособлением автоматической подачи кислорода 209

*ნ. ფარცხალაძე. რესპირაციული აპარატი ფრინველთა ემბრიონებისათვის, ჟანგბადის ავტომატური მიწოდების უზრალო მოწყობილობით 213

მასპირნიმენტული მედიცინა—ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА—
EXPERIMENTAL MEDICINE

Т. С. Хуцишвили. Оценка степени ревазуляризации миокарда с помощью рентгеноконтрастных и люминесцентных исследований	215
*ტ. ხუციშვილი. მიოკარდიუმის რევასკულარიზაციის ხარისხის განსაზღვრა რენტგენოკონტრასტული და ლუმინესცენტური გამოკვლევებით	220
Р. Н. Манджгаладзе. Некоторые вопросы гонадотропного и эмбриотропного действия соединений марганца	221
*რ. მანჯგალაძე. მარგანცის შენაერთების გონადოტროპული და ემბრიოტროპული მოქმედების ზოგიერთი საკითხი	225

კლინიკური მედიცინა—КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА—
CLINICAL MEDICINE

ა. კვიციანი. ინფექციური მონონუკლეოზის კლინიკისა და დიაგნოსტიკის საკითხისათვის	227
*А. А. Квициани. К вопросу клиники и диагностики инфекционного монукулеоза	232
დ. ჩაგანავა. ქვემო კიდურის ვენების მწვავე თრომბოფლებიტის კონსერვატიული მკურნალობის საკითხისათვის	233
*Д. Т. Чаганова. К вопросу консервативного лечения при остром тромбофлебите вен нижних конечностей	240
თ. რეგია. რემატიზმით დაავადებულ ბავშვთა გულის სისტოლის ფაზური ანალიზის შედეგები დაავადების სხვადასხვა პერიოდში	241
*Т. Л. Ревия. Фазовый анализ систолы сердца у детей, больных ревматизмом в различных стадиях заболевания	247

ფსიქოლოგია—ПСИХОЛОГИЯ—PSYCHOLOGY

მ. ჯაფარიძე. ტემპერატურის სხვაობაზე ფიქსირებული განწყობის თავისებურებათა შესახებ	249
*М. А. Джапаридзе. Особенности фиксированной установки, выработанной на различие температуры	254

ПОЛОЖЕНИЕ О «СООБЩЕНИЯХ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР»

1. В „Сообщениях Академии наук Грузинской ССР“ публикуются статьи научных работников Академии наук Грузинской ССР и других ученых, содержащие сжатое изложение основных результатов их исследований.

2. „Сообщениями“ руководит редакционная коллегия, избираемая общим собранием Академии наук Грузинской ССР.

3. „Сообщения“ выходят ежемесячно отдельными выпусками приблизительно в объеме 16 печатных листов каждый. Выпуски каждого квартала (три выпуска) составляют один том.

4. Статьи должны быть представлены на двух языках: на грузинском и русском. На одном из них, по желанию автора,—полный текст, а на другом языке—краткое изложение основного текста

5. Объем статьи, включая иллюстрации, не должен превышать 20 000 типографских знаков (8 страниц журнала). Разделение статьи на отдельные части для опубликования в разных выпусках „Сообщений“ не допускается.

6. Статьи действительных членов и членов-корреспондентов Академии наук Грузинской ССР сдаются непосредственно в редакцию „Сообщений“ для опубликования, а статьи других авторов публикуются только по представлению действительных членов или членов-корреспондентов Академии. Статьи, поступившие без представления, направляются редакцией одному из действительных членов или членов-корреспондентов Академии на рассмотрение, с тем чтобы в случае положительной оценки статья была представлена для опубликования.

7. Статьи (а также соответствующие иллюстрации и чертежи) должны быть представлены автором в одном экземпляре, в совершенно готовом для печатания виде. Формулы должны быть четко вписаны в текст от руки. Текстовые части на иллюстрациях должны быть выполнены на обоих языках. Никакие исправления и добавления после принятия к печати не допускаются.

8. Данные о цитированной литературе должны быть по возможности полными: необходимо указать полное заглавие статьи, название журнала, в котором опубликована статья, номер серии, тома, выпуска, год издания; если имеется ссылка на книгу, то необходимо указать полное наименование книги, место и год издания.

9. Цитируемая литература должна приводиться в конце статьи в виде списка. При ссылке на литературу в тексте статьи или в подстрочных примечаниях следует указывать номер по списку, заключая его в квадратные скобки.

10. В конце текста статьи автор на соответствующем языке должен указать название и местонахождение того научного учреждения, где выполнена работа.

Статья датируется днем поступления ее в редакцию.

11. Автору представляется одна корректура в сверстанном виде на строго ограниченный срок (не более двух дней). В случае невозвращения корректуры к сроку редакция вправе приостановить печатание статьи или напечатать ее без визы автора.

12. Автор получает бесплатно 10 оттисков своей статьи.

АДРЕС РЕДАКЦИИ: ТБИЛИСИ, УЛ. ДЗЕРЖИНСКОГО, 8
Телефон 9-03-52

Условия подписки: на 1 год—12 руб., на 6 месяцев—6 руб.

„საბატრუმელოს სსრ მცენიერებათა აკადემიის შრომების“

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. „საქართველოს სსრ მცენიერებათა აკადემიის შრომებში“ იბეჭდება აკადემიის მეცნიერი მუშაკებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოკლედ გამოცემულია მათი გამოკვლევების მთავარი შედეგები.

2. „შრომებში“ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს სსრ მცენიერებათა აკადემიის საერთო კრება.

3. „შრომებში“ გამოდის თვეში ერთხელ, ცალკე ნაკვეთებად, დაახლოებით 16 ბეჭდური თაბახი. ყოველი კვარტალის ნაკვეთები (სამი ნაკვეთი) შეადგენს ერთ ტომს.

4. „შრომებში“ დასაბეჭდად წერილები წარმოადგენილ უნდა იქნეს ორ ენაზე: ქართულად და რუსულად. ერთ-ერთ მათგანზე, ავტორის სურვილისამებრ, —სრული ძირითადი ტექსტი, ხოლო მეორეზე—ძირითადი ტექსტის შემოკლებული გადმოცემა.

5. წერილის მოცულობა (ორივე ტექსტისა), ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 20.000 სასტამბო ნიშნს (ჟურნალის 8 გვერდს); არ შეიძლება წერილის დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსაქვეყნებლად.

6. საქართველოს სსრ მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერილები უშუალოდ გადაეცემა დასაბეჭდად „შრომების“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორების წერილები იბეჭდება აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონდენტის წარდგინებით. წარდგინების გარეშე შემოსულ წერილს „შრომების“ რედაქცია გადასცემს აკადემიის რომელიმე ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს განსახილველად, რათა მან, დადებითად შეუასებოს შემთხვევაში, წარმოადგინოს იგი დასაბეჭდად.

7. წერილები (ავრთვე სათანადო ილუსტრაციები და ნახაზები) ავტორმა უნდა წარმოადგინოს თითო ცალად, დასაბეჭდად საყვებით მომზადებული. ფორმულები ხელით უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტში მკაფიოდ. ილუსტრაციებზე ტექსტობრივი წარწერები ორივე ენაზე უნდა იყოს შესრულებული. წერილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში შესწორებებისა და დამატებების შეტანა აღარ შეიძლება.

8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები შეძლებისდაგვარად სრული უნდა იყოს: საჭიროა აღინიშნოს წერილის სრული სათაური, სახელწოდება ჟურნალისა, რომელშიც დაბეჭდილია წერილი, ნომერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა, გამოცემის წელი; თუ დამოწმებულია წიგნი, სავალდებულოა წიგნის სრული სახელწოდების, გამოცემის ადგილისა და წელის მითითება.

9. დამოწმებული ლიტერატურის სია წერილს ერთვის ბოლოში. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტში თუ შენიშვნებში კვადრატულ ფორჩხილებში ნაჩვენები უნდა იქნეს შესაბამისი ნომერი სიის მიხედვით.

10. წერილის ტექსტის ბოლოს ავტორმა შესაბამის ენაზე უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია ნაშრომი. წერილი თარიღდება რედაქციაში შემოსვლის დღით.

11. ავტორს ეძლევა გვერდებზე შეკრული ერთი კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (ჩვეულებრივად არა უმეტეს ორი დღისა). თუ კორექტურა დადგენილი ვადისათვის არ იქნა წარმოადგენილი, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

12. ავტორს უფასოდ ეძლევა მისი წერილის 10 ამონაბეჭდი.

რედ. აკადემიის შრომების რედაქციის მიერ: თბილისი, ქვარცხელიძის ქ. 8

ტელეფონი 9-03-52

ხელმოწერის პირობები: 1 წლით—12 მან., 6 თვით—6 მან.